ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინცა მოკვდა მეფეთათვის, მათნი სულნი ზეცად რბიან!

# ႵႰႨႱႲႤ ႶႫႤႰႧႨ

✱საქართველოს მონარქისტული /კონსერვატორული/ პარტიის გაზეთი✱

გაზეთი გამოდის 1990 წლის 7 იანვრიდან

· 9 აპრილი ·

დასაბამითგან - 7594;
ქორონიკონი - რჳვ /146/;
ქრისტეს აქეთ - 1990 წელი.

✱ № 3 ✱

## ტრაგედიის წლისთავი

რა არის დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი ცხრა აპრილის ტრაგედიის მსხვერპლთა შესახებ? უპირველესად ის, რომ მათი ზუსტი რიცხვიც კი არ ვიცით. მოვლენათა თვითმხილველი, სამი სრულიად სხვადასხვა სამოღვაწეო სფეროს წარმომადგენელი: მღვდელი, ექიმი და მილიციელი ადასტურებენ, რომ სინამდვილეში გაცილებით მეტი იყო დახოცილი, ვიდრე მოგვიანებით აღიარეს ოფიციალურად. ზოგი უგზოუკვლოდ დაიკარგა, ზოგის ოჯახები დააშინეს და ამით, როგორც იმავე მღვდელმა გვამცნო, ისეთი ცოდვით დაამძიმეს მათი საჭირისუფლო, რომ ეს ცოდვა საიქიოში მოეკითხებათ.. ჩვენთვის ბოლომდე არც ის არის გარკვეული, თუ შემდგომ როგორ განვითარდა მოვლენები. დანამდვილებით ცნობილია მხოლოდ, რომ კომენდანტის საათის დარღვევისათვის ოკუპანტის ტყვიამ სიცოცხლეს გამოასალმა კიდევ ერთი ქართველი ჭაბუკი - გ ი ა ქ ა რ ს ე ლ ა ძ ე.

მაგრამ რა ვიცით თვით იმ ადამიანთა შესახებ, რომლებიც 9 აპრილის გამთენიისას გამოესალმნენ სიცოცხლეს და რომელთა ვინაობაც ტრაგედიის დღეებში გახდა ცნობილი? ვინ იყვნენ ისინი, რა ძალამ მოიყვანა მთავრობის სასახლის კიბეებთან? წინდაწინვე მხოლოდ ერთი რამის თქმა შეიძლება: იმ კიბეებზე დგომა თავისთავად გმირობა იყო მათი მხრიდან, რადგან:

ჯერ ერთი - ამგვარი საქციელით ისინი შორიდან მაცქერალის როლში კი არ გამოდიოდნენ, არამედ მოვლენათა შუაგულში იყვნენ;

მეორე - ყოველმა მათგანმა იცოდა, რომ წინა დღით ქალაქში ტანკებმა გაიარეს და საფრთხე სავსებით რეალური გახდა;

მესამე - დარბევამდე რამდენიმე წუთით ადრე კათალიკოს-პატრიარქმა მომავალი საშიშროების შესახებ აუწყა ხალხს და ამისდა მიუხედავად არცერთი მათგანი არ დაძრულა ადგილიდან და ნაბიჯიც არ დაუხევია უკან.

ეს ზოგადად. პიროვნულად კი არ შეიძლებოდა არ წარმოშობილიყო ხალხში სრულიად გასაგები ცნობისწადილი, თუ რა გზებით მოვიდნენ ეს ადამიანები 9 აპრილამდე, რა სულიერი მრწამსითა და იდეებით იყვნენ ნასაზრდოებნი და როგორ ეკიდებოდნენ ისინი საქართველოში გაშლილ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას.

ნ ა თ ი ა ბ ა შ ა ლ ე ი შ ვ ი ლ ი

# წმინდა მოწამენი

### ა ზ ა ა დ ა მ ი ა



დედა - ქალბატონი ჟუჟუნა:

-სიღარიბეში გვყავდა გაზრდილი ჩვენი გოგო. ჩითის კაბით დაამთავრა სკოლა. დახეული ფეხსაცმლით ჩავიყვანე თბილისში გამოცდების ჩასაბარებლად. მაგრამ ჩვენი ხელმოკლეობა არ აშინებდა -ნურაფერს დარდობთ, დავამთავრებ ინსტიტუტს და აქეთ მოგეხმარებითო. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მოეწყო. მამაკაცური პროფესია აირჩია. თავისი მტკიცე ხასიათის იმედი ჰქონდა. მაგრამ სიმტკიცესთან ერთად სინაზით და სათნოებით გამოირჩეოდა.

უსაზღვროდ მორწმუნე იყო აზა. თითქმის ყოველდღე დადიოდა ეკლესიაში. მისმა თბილისელმა დიასახლისმა მითხრა ღამით, აზას ფანჯარაში რომ შევიხედავდი, სულ სანთლები ჰქონდა ანთებული, დაჩოქილი იყო და ლოცულობდაო. მისი სიკვდილის მერე ოთახში საყვავილე ქოთანი ნახეს სანთლის ნაპწვავებით სავსე.

სამშობლო იყო მისი უმთავრესი სალოცავი! ეს გამოსვლები რომ დაიწყო, ერთთავად მთავრობის სასახლესთან იდგა. ასე ამბობდა თურმე: -სადაც გამსახურდია იდგება, მეც იქ უნდა ვიდგეო! სულ იმაზე ოცნებობდა, ეროვნულ მოძრაობაში აქტიურად შეძლებოდა მონაწილეობა.

აპრილის დღეების შესახებ მეც მონათხრობით ვიცი: 28 მარტს რომ წავიდა თბილისში, მას მერე ჩემი შვილი აღარ მინახავს. მისმა დიასახლისმა მითხრა, არცერთი დღე არ გამოუტოვებია, სულ მიტინგებზე დადიოდაო.

იმ ღამესაც II საათზე მობრუნებულა სახლში და ისევ რომ გამოსულა გარეთ, დიასახლისს უკითხავს, სად მიდიხარო. როცა გაუგია, რომ რუსთაველზე ეპირებოდა ისევ, დიასახლისს შეშფოთებით უთქვამს: -შვილო, არ წახვიდე, რამე არ შეგემთხვასო.

-მერე რა, ასეც რომ მოხდეს, თუ შევეწირებით, ჩვენს საქართველოს შევეწირებითო - უპასუხნია.

მოგვიანებით, „9 აპრილის" საზოგადოებიდან მითხრეს: -რამდენი ვეხვეწეთ, ყალით, ქალებო წადით - ფეხი ვერ მოვაცვლევინეთ ადგილიდანო.ჩემი გოგოს ამბავი რომ ვიცი - ის იქიდან არ წამოვიდოდა! /მარტვილი/.

### ე კ ა ბ ე ჟ ა ნ ი შ ვ ი ლ ი



ბებია - ქალბატონი ქეთევანი:

-აპრილის მოვლენები რომ დაიწყო, ეკა ხასიათი რომ ვიცოდი, სულ დარდი მქონდა, ყოველდღე ვაფრთხილებდი, სკოლიდან არსად გაუხვიო-მეთქი. მაინც მეპარებოდა მიტინგებზე და მერე აქეთ მიტევდა ხოლმე:

-რას ამბობ, ბებია; ეხლა ვჭირდებით ჩვენ საქართველოს და მე აბა სად უნდა ვიყო- თუ საჭირო გახდება თავსაც დავდებ საქართველოსათვის! ადრეც არაერთგზის უთქვამს:-ბიჭი რომ ვიყო, სამშობლოს განსათავისუფლებლად იარაღით ხელში ვიბრძოლებდიო!

ალბათ ამიტომ იმ დღესაც შარვალი ჩაიცვა. „ფიზიკაზე" იყო წასასვლელი. ვკითხე: -რად გინდა, ბებო, შარვალი-მეთქი?

-ცივა, ბებია, გარეთო-მითხრა. რას წარმოვიდგენდი, რომ „ფიზიკაზე" წასვლის მაგიერ მიტინგზე მიდიოდა. სახლში რომ მოგვისვენეს მკვდარი, ჩანთაში თბილი წინდები ვუნახეთ, ისინიც მოემარაგებინა.

8 საათზე უნდა დაბრუნებულიყო. ამის ნაცვლად ქაშუეთის ეკლესიაში წასულა. მორწმუნე იყო უსაზღვროდ, მარხულობდა. სანთლები დაუნთია, ულოცია და ისევ მოშიმშილეებთან ასულა. ბოლო წუთამდე ეხმარებოდა, წყალს აწვდიდა თურმე.

რა ვიცოდი, თუ ასეთი ბოლო ექნებოდა, თორემ იქნებ მისი ბოლოდროინდელი განწყობილებებისათვის მიმექცია მეტი ყურადღება. დილაობით მეუბნებოდა:- ბებო, ღამე ერთია და 16-ჯერ მეღვიძებაო. -ალბათ ილდები-მეთქი, ვპასუხობდი. იქნებ ეს რაღაცის ნიშანი იყო...ვერ მოესწრო თავის მეთექვსმეტე წელიწადს.

-ბებო, ფოთოლცვენა მესიზმრა და მე ფოთლების წვიმაში დავდიოდიო, ეს რაღას ნიშნავსო?-არ ვიცი-მეთქი-ვეუბნებოდი. ვაითუ, ესეც სიკვდილს ნიშნავდა...

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა ის. გვ. 2-3.

### ნ ა თ ი ა ბ ა შ ა ლ ე ი შ ვ ი ლ ი



დედა - ქალბატონი მაყვალი:

-ნათიას განსაკუთრებით ჰქონდა გამძაფრებული ეროვნული გრძნობა. სკოლაში მასწავლებელს თემა მიუცია დასაწერად სათაურით: „ვის მივულოცავდი სახელსა და დიდებას?" მერაბ კოსტავასა და ზვიად გამსახურდიასო - დაუწერია. ნოემბრის მიტინგებისთვის ლოზუნგებს ადგენდნენ მისი თანაკლასელები. ნათიას ასეთი ლოზუნგი შეუთავაზებია: „სჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი"... არც ნოემბერში, არც აპრილში ნათიას არცერთი მიტინგი არ გაუცდენია.

8 აპრილს ერთად ვიყავით მე და ჩემი გოგონა მიტინგზე. უსიამოვნო წინათგრძნობა მქონდა და ანგარიშმიუცემლად ვუთხარი:

- დედიკო, შეხედე, რა ხდება, საფრთხეა მოსალოდნელი; მოვერიდოთ ამ ამბებს; სიკვდილსაც დიდი დახვედრა უნდა. რომ დავილუპოთ, ჩვენი ღარიბული ბინა არ არის მეჟქი გლოვისათვის მზად.

ნათიამ წარბი შეიკრა და მიპასუხა:

- არ გრცხვენია, დედა, ამას რომ მეუბნები? აუცილებლად დალაგებული უნდა გქონდეს ოჯახი, საქართველოსთვის რომ მოკვდე ადამიანი?

ადრითვე საქართველოს თავისუფლებას ნათია ქართველების კეთილდღეობასა და ბედნიერ ცხოვრებასაც უკავშირებდა ხოლმე.მე მეგონა იგი ჩვენი ოჯახის სიღარიბით იყო გულმტკივანი და მისი მგზნებარე პათოსიც აქედან მოდიოდა. მაგრამ 9 აპრილს მის გვერდით უზრუნველყოფილი ოჯახისშვილებიც რომ დაიღუპნენ, ამან ის საყოველთაო ჭეშმარიტება დაადასტურა, რომ სამშობლოს სიყვარულს სოციალური კეთილდღეობის საზღვრები არა სცოდნია!

ბოლო დრომდე ერთ რამეზე მწყდებოდა გული: შინაგანად უსაზღვროდ მორწმუნე იყო ნათია და მონათლული არა მყავდა.

სიკვდილამდე 2 თვით ადრე მას ასეთი რამ შემთხვევია: ბებიასთან მიდიოდა მეტროთი. 20 კაპიკიანი რომ დაახურდავა, ერთი 5 კაპიკიანი ვიღაც ქალისთვის მიუცია. ამ ქალს დაუხედავს მისი ხელისგულისთვის და - შვილო, მონათლული ხარო?-უკითხავს. -არაო, უპასუხნია ნათიას.

- დროზე მოინათლე, შვილო, დიდი განსაცდელი გელისო!

იმ დღის შემდეგ გამუდმებით მთხოვდა, მომნათლეო. ის პიროვნება ვისთვისაც გვინდოდა მოგვენათლინებინა, საქართველოში არ იყო და დაგვიგვიანდა. სიცოცხლის ბოლო დღეებში მოვნათლეთ მხოლოდ - I.6 აპრილს. ეგ მაინც არ მიმყვება დარდად - მონათლული წავიდა იმ ქვეყნად!

## ნ ა ტ ო  გ ი ო რ გ ა ძ ე



დედა - ქალბატონი ნუნუ:

- ვაჟკაცური ბუნების გოგო იყო ნატო. ჩვენ ადრე ქვაბლიაში ვცხოვრობდით და მთაში გაზრდილობა ეტყობოდა: მთებში სიარულიც უყვარდა და მთასვლელობაც ემარჯვებოდა. თუ საჭირო იყო, კარგი ვაჟკაცივით სახლსაც თვითონ გადმოთოვლავდა

ძმა აფრთხილებდა ხოლმე ნატოს, როცა გაიგებდა, რომ მიტინგებზე და დემონსტრაციებზე დაიარებოდა: „ნუ ეხუმრები შენ ამ მთავრობასო," მაგრამ ვინ უგონებდა. მეც სულ ამას ვეუბნებოდი: მახსოვს, ნოემბრის ერთ შაბათს, სუფრას ვაწყობდი და შეშფოთებულმა ვუთხარი: -შენ არ იცი, გოგო, ვის ეომები, შეეწირები ამ საქმეს-მეთქი.

გუშინდელივით მახსოვს, შემოიყარა დოინჯი, წინ გადამიდგა და მითხრა: -თუკი საქართველოს შევეწირები, განა ჩემზე ნაკლებიმამულიშვილები შეწირვიანო?

-მე რას მიშვრები მერე, ჩემზე არ ფიქრობ- გოგო?

-ჰო დედა, შენ კი შემეცოდებიო - გამიღიმა, მომეხვია და მაკოცა!

8 აგვისტოს იყო ჩემი გოგო დაბადებული. შარშან ვერ ჩამოვიდა. სამსახური ჰქონდა ახალი დაწყებული. ჩავედი და თბილისში გადავუხადე დაბადების დღე. სურათის გადაღება არ უყვარდა და თავის თანამშრომლებს უთხრა იმ დღეს: -გოგოებო, რომ მოვკვდე, ერთი სურათიც არა მაქვს გასადიდებელიო.

მერე მომიყვა,-ისევ ის მოხუცი გამომეცხადა, დედაო. ვიცოდი მე იმ მოხუცის ამბავი: რამდენიმე წლის წინ ლენინგრადში იყო პრაქტიკაზე და ღამით თეთრწვერიანი მოხუცი გამოცხადებია: -შენა ხარ ნატო გიორგაძეო? შენ ჩემთან უნდა წამოხვიდეო და თარიღი დაუსახელა თურმე, ამა და ამ დროსო. მე არაფერი მითხრა ამ თარიღზე ნატომ.

27 მარტს გავაცილეთ ნატო თბილისში. მე რომ ვაკოცე, ახლა მამამისს მიუბრუნდა. მამამისმა არ იცოდა ბავშვების ალერსი. -შენ რომ მკოცნი, ახლა მამამაც მაკოცოსო და რამდენჯერმე აკოცნინა მამამისს...

და მაია: მე იმ დღეებში თბილისში ვიყავი და ჩვენი ძმიშვილისთვის მომცა სათამაშოები. ასე მითხრა: მე შეიძლება ბავშვი ვერ ვნახო და შენ ჩაუტანეო. ჩემ ძმას გადაეცი, ეს სათამაშოები ნატომ შენი ბიჭისთვის იყიდა-თქო. /ჩოხატაურის რ-ნი სოფ. ახალშენი/.

## ტ ი ნ ა  ე ნ უ ქ ი ძ ე



ვაჟი - იური ლეკიშვილი:

დედაჩემის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ ის იყო სრულიად საქართველოს ჭირისუფალი. არ ყოფილა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი საკითხი ერის ცხოვრებაში, რომ მას არ მიეღო მონაწილეობა. ყველა მოვლენის შუაგულში ტრიალებდა. 56-ის 9 მარტს სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს. გალაკტიონის დასაფლავებაზე ფეხსაცმელი დაკარგა, ცალი ფეხსაცმლით მაინც ავიდა ბოლომდე...

უკანასკნელ წლებში ეროვნული მოძრაობით ცოცხლობდა და ხარობდა.

აპრილში პატარა სკამი ჰქონდა წაღებული და მოშიმშილეების გვერდით იჯდა. ეფერებოდა, ამხნევებდა, წყალს აწვდიდა მათ. როცა აცივდა, თბილი ტანსაცმელი მიჰქონდა მათთვის. ჩვენ გვსაყვედურობდა: - სახლში როგორ ჩერდებით, დღეს ყველა იქ უნდა იყოსო! იმ დღესაც დილის თერთმეტის ნახევარზე გავიდა სახლიდან. ტანზე სულ ყველაფერი ახალი ეცვა. თავისი პატარა სკამი წაიღო და არ ვიცი, რა წინათგრძნობა ჰქონდა, მაგრამ ასე თქვა: - მე აღარ მოვალ!

რძალი - ეთერი:

წინა ღამით სიზმარში ენახა თავისი გარდაცვლილი მამა და მეუღლე: საყდარი ამიშენეს, იქ დამაბინავეს და მითხრეს, ეს არის შენი სახლი და შენ აქ უნდა იცხოვროო!

ქალიშვილი - ცისანა ოკრიბელაშვილი:

- შვიდში საღამოს, ჯარი რომ გამოჩნდა „დინამოს" სტადიონთან, შემეშინდა და ვთხოვე, აღარ წასულიყო მიტინგზე, მაგრამ მკაცრად მომიგო: - შვილო, ამ ჭაღარის პატრონს ვინ რას გამიბედავს, იმ ბავშვებს კი გადავარჩენ ჩემი იქ ყოფნითო.

- დედა, იქ რომ რამე მოხდეს? - აღარ მოვეშვი.

- თუ მოხდება, მე ვიცოცხლო და ის ახალგაზრდები კი დაიღუპონ? სჯობს მე შევეწირო მათ მაგივრად!

ასეც მომხდარა, როგორც თვითმხილველებმა თქვეს, ვიღაც მოშიმშილეს გადაფარებია და ისე მოუკლავთ.

უკანასკნელი სამახსოვრო დაგვრჩა მისგან - ფოტოსურათი. ჩემი ვაჟი სწავლობდა ამერიკაში. დედას გაეგო სადღაც, რომ ამერიკაში განსაკუთრებულ პატივს სცემენ ბებიებს, თანაც იქ „თმაგაშლილების კულტიაო". 3 აპრილს თმაგაშლილს გადაუღია სურათი ამერიკაში გასაგზავნად - ჩემმა გიორგიმაც წაიტრაბახოს, ნახეთ, როგორი ბებია მყავსო!

## თ ა მ უ ნ ა  დ ო ლ ი ძ ე



დედა - ქალბატონი მერი:

-ნოემბრისა და აპრილის დღეებში თამუნა სამსახურიდან სახლში არ მოდიოდა, პირდაპირ მთავრობის სასახლეს მიაშურებდა ხოლმე მოშიმშილეებთან. დარწმუნებული იყო, რომ ისინი დიდ საქმეს აკეთებდნენ სამშობლოსათვის.

თამუნას ოცნებად ჰქონდა მოსწრებოდა თავისუფალ საქართველოს.

აპრილის ტრაგედიის წინა დღეებში მეზობელს უკითხავს მისთვის, -იქ რომ დადიხარ, გოგო, არ გეშინიაო?

თამუნას უპასუხნია: - რას ბრძანებთ, ციური დეიდა, თუ ჩემი სისხლი სამშობლოს რასმე არგებს, ამაზე დიდი ბედნიერება რა უნდა იყოსო!

ბიცოლა - ქალბატონი მერი:

მე და თამუნას დიდი მეგობრობა გვაკავშირებდა. ეროვნულ საკითხშიც, ცხადია, თანამოაზრენი ვიყავით. ერთად დავდიოდით მიტინგებზე ნოემბერშიც და აპრილშიც. აპრილში თამუნას ჩეხოსლოვაკიის საგზური ჰქონდა და გადადო გამგზავრება: -საქართველოში ასეთი ამბები ხდება და მე იქ რა წამიყვანსო! ეკლესიაშიც ერთად დავდიოდით. ერთად ვლოცულობდით და ერთად ვმარხულობდით.

მაგრამ იმ საბედისწერო დღეს ავცდით ერთმანეთს. სულ ბოლოს თამუნა ცელოფანის პარკით უნახავთ, რომელშიც სოდიანი ბამბები სდებია - გამოაცხადეს ცრემლსადენ გაზებს გაუშვებენ და მოვიმარაგეო. მაგრამ როდესაც უფრო რეალური საფრთხე შეიქმნა, რის შესახებაც კათალიკოსმა აუწყა ხალხს, ჯერ თავისი მეგობარი გამოუსტუმრებია შინ -შენ შვილი გყავს, წადი სახლშიო! მერე, როცა ბიძაშვილს უთქვამს- მცივა და მეშინიაო, მას მტკიცედ უპასუხნია: - ჩვენი ყოფნა აქ არის ახლა საჭირო, ჩვენ აქ უნდა ვიდგეთო.

მეგობარი - ეკა ხუბულავა

თამუნა, შესაძლოა, გუმანით გრძნობდა, რომ რაღაც უნდა მომხდარიყო. ცხოვრებაში ძალიან მორცხვი, მორიდებული იყო, შეიძლება ითქვას ქალურად მშიშარაც კი, მაგრამ იმ პერიოდში ყოველგვარი შიშის გრძნობა დაეკარგა.

- მე იქ უნდა ვიყო, სადაც ჩემი ერი მიხმობსო! - ეს იყო მისი საქციელის მსაზღვრელი.

## მ ა ნ ა ნ ა  ღ ო ღ ა ძ ე



დედა - ქალბატონი ეკატერინე:

ძალზე ღვთისმოსავი იყო მანანა - ეკლესია იყო მისი კინოცა და თეატრიც. ზეპირად იცოდა საეკლესიო თარიღები. ბუნებითაც საოცარი კაცთმოყვარეობით გამოირჩეოდა. სულ იმის ცდაში იყო, ვინმესთვის სიკეთე გაეკეთებინა. ნოემბრის მიტინგების დროს თბილისში არ ვიყავი და 6 დღე და ღამე უშიმშილია. მეუღლემ დამახვედრა ამბავი:-შენ რომ არ იყავი, მანანა შიმშილობდა და მე ვერაფერი გავაწყეო მასთან.

მეზობელი - ლია თევზაძე:

იმ ექვს დღე და ღამეს, როდესაც მანანა შიმშილობდა, სულ მასთან ერთად ვიყავით. მამამისს ერთი ღამეც არ სძინებია. თავად ხომ შიმშილობდა, სხვა მოშიმშილეების მიმართ კიდევ თვითონ იჩენდა ყურადღებას -რაკი ისინი მხოლოდ ცხელ წყალს სვამდნენ, მანანას ვედროებით მიჰქონდა სახლიდან ცხელი წყალი. სიცივეები რომ დაიწყო, არ დაუტოვებია სახლში არცერთი ლეიბი, არცერთი საბანი -სულ იქ გაზიდა.

მერე დადგა აპრილი და ისევ პირველი დღეებიდანვე მოშიმშილეთა შორის ჩადგა. უკანასკნელად იმ საბედისწერო ღამეს 12 საათზე ვნახე. მოვიდა სახლში, თბილად ჩაიცვა და წავიდა. წასვლის წინ გავაფრთხილე: -ფრთხილად იყავი, არაფერი შეგემთხვეს-მეთქი.

-რას ამბობთ -წარბი შეკრა -მე დედაჩემს ვეჩხუბები, სახლში რა აჩერებს, როცა მისი ტოლა ქალებიც სხედან იქა. მე თუ რამე მომივა, ამით ჩემს სამშობლოს რა დააკლდება და თუ საქართველოსთვის ასე იქნება საჭირო, განა არა ღირს მისთვის სიკვდილი?

დედა - ქალბატონი ეკატერინე:

-მერე გავიგე, რაღაც სიზმარი ჰქონია ნანახი. მეზობელი გოგონასთვის, ლალისთვის მოუყოლია, დედაჩემს არ უთხრა ვეტყვიო. ჩემთვის რომ ეთქვა, ჩავკეტავდი სახლში და არ გავუშვებდი. თუმცა როგორ ჩავკეტავდი, განა მე დამიჯერებდა?

## ზ ა ი რ ა  კ ი კ ვ ი ძ ე



ვაჟი - ნუკრი:

დედაათავის სამსახურში ეროვნული იდეების ერთ-ერთი მთავარი გამტარებელი იყო. აპრილში მათთან სახალხო ფრონტი ყალიბდებოდა და დიდი ენთუზიაზმით ჩაება ამ მოძრაობაში. მათი განყოფილება გაიფიცა და ფეხით ჩავიდნენ კიბერნეტიკის ინსტიტუტიდან მთავრობის სასახლემდე. ღამის პირველ საათზე რომ მოვიდა სახლში დაღლილი, ვუსაყვედურე:

-რას აკეთებ, დედა, თავს რატომ არ უფრთხილდები?

-რას ვაკეთებ და საქართველოს ვათავისუფლებთ - დაუფიქრებლად მომიგო.

ნოემბრისა და აპრილის აქციების მუდმივი მონაწილე იყო და იქ დასწრებით ძალიან ბედნიერად გრძნობდა თავს. ერთხელ, როდესაც ერთად თავშეყრილ მომიტინგეების ცეკვა-თამაშს უცქერდა, ისიც კი უთქვამს: -ეხლა აქ სიკვდილიც შეიძლებაო.

7-ში ძალიან გვიან დაბრუნდა მიტინგიდან. უზომოდ კმაყოფილი სახე ჰქონდა: -თქვენ არ გჯერათ და მალე, სულ მალე მოვა დამოუკიდებლობა საქართველოში!

რძალი - ნანა:

ზაკო/ასე ვეძახდით შინაურობაში/ჭეშმარიტი ქრისტიანული სულის ადამიანი იყო. ღრმად მორწმუნე. იმ დღეებში მარხულობდა. ხშირად დადიოდა ეკლესიაში. ყველაში სიკეთის დანახვას ცდილობდა. ძვირს ვერავისზე ათქმევინებდით. განსაკუთრებით ემარჯვებოდა ურთიერთობა ბავშვებთან. ფაქიზი მეგობრობა აკავშირებდა თავისი ბიძაშვილის შვილიშვილთან -პატარა მანანიკოსთან. სწორედ ტრაგედიის წინა დღით მანანიკო მიჰყავდა თავის ბებიასთან და ქალაქში ტანკებმა ჩამოიარეს. სახეშეშლილი შემობრუნდა სახლში: -არა, ეს არ უნდა ვაპატიოთ, ჩვენ ყველანი უნდა შევეწიროთ და ეს მაინც არ უნდა ვაპატიოთ!

წინა დღით ორი სიზმარი ჰქონდა ჩემთვის მოყოლი. ერთში სადღაც გაშლილ ველზე ვიყავი, ისეთი ლამაზი იყო, სულ ყვავილები ყვაოდა გარშემოო; მეორეში -აივანზე კარები დამეკეტა, თქვენ ყველანი სახლში იყავით და მე აივანზე ლავრჩიო. გეძახდით და კარს არ მიღებდით. წახვედით და აივანზე დამტოვეთო მარტო...

აუხდა ის სიზმარი -ვერაფერი უშველით ზაკოს. პატარა მანანიკომ არ იცის მისი დაღუპვის ამბავი. უთხრეს, სხვა ქვეყანაშია წასული და როცა დიდი გაიზრდება, ჩამოვა მაშინ მისი ზაკუნაც. მას შემდეგ სულ გვეკითხება: -როდის ჩამოვა ჩემი ზაკუნა, მე რომ რამხელა ვიქნები, რამდენი წლის რომ ვიქნები?

## ნ ი ნ ო  თ ო ი ძ ე



დედა - ქალბატონი ჟუჟუნა:

- საინჟინროზე კი სწავლობდა, მაგრამ ჰუმანიტარულ საგნებს უფრო ეტანებოდა ნინო. წიგნებს კითხულობდა უზომოდ. გამსახურდია უყვარდა განსაკუთრებით. რომ ვეტყოდი, დაისვენე, ნუ კითხულობ ამდენს-მეთქი, მიპასუხებდა: -დედა, მომეშვები?

მარტის ბოლოს ახლობელს ეხმარებოდა ქორწილში. მიტინგებზე ჩამოვარდნილა სიტყვა და ერთ ნათესავს უთქვამს: -რად მინდა საქართველო, თუკი მე არ ვიქნებიო. ნინოს ხელი დაურტყამს მაგიდაზე: -მე კი თავს შევწირავ ჩემს საქართველოს. შენი შვილისთვისაც მე შევწირავ თავსო...

სიგიჟემდე უყვარდა თავისი საქართველო. არცერთ მიტინგსა და დემონსტრაციას არ გააცდენდა. -ეს მიტინგები გვიახლოებს საქართველოს თავისუფლებასო -ამბობდა.

იმ ღამესაც თურმე ბოლო წუთამდე მდგარა მოშიმშილეებში და თავის მეგობარ, აზა ადამიასთან ერთად წყალს აწვდიდა მოშიმშილეებს.

28 მარტს თბილისში მიდიოდა და მკითხა:-რას ნიშნავს ნეტავ, დედა, სიზმარი ვნახე, შავ ფეხსაცმელს ვყიდულობდი მალაზიაშიო. ხალხმა მითხრა, ბედია, გათხოვდებაო. მაგრამ გათხოვებას როგორ უხსენებდი! 4 აპრილს სურათი გადაუღია. 9-ში მოიკითხეო, დაუბარებია ფოტოგრაფს. -ცოტა ადრე ქენი, 9-ში ეგება არც ვიყო ცოცხალიო -უპასუხნია. ბედისწერა იყო თუ რა იყო, არ ვიცი... /ოზურგეთის რ-ნი სოფ. ლიხაური/

## მანანა მელქაძე

დედა - ქალბატონი ლია:



-მანანა განსაკუთრებული ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა. ხშირად იტყოდა ხოლმე: -საქართველოს რწმენა გადაარჩენსო. ეკლესიაში დადიოდა ხშირად. გახარებული იყო ბოლო წლების ეროვნული მოძრაობის აღმავლობით. იმ აპრილის დღეებში ორგან ჰქონდა წასასვლელი: ეკლესიაში და მიტინგებზე.

დეიდა - ქალბატონი გულიკო:

-ნოემბერ-აპრილში მანანა რუსთაველზე ათენ-აღამებდა. სამშობლოს უსაზღვროდ მოყვარულს უნდოდა რაიმეთი თვითონაც მიეღო იმ გამოსვლებში მონაწილეობა. სულ თავის თანაკლასელს, გია ხონელიძეს შენატროდა: -რა ბედნიერია, ეროვნულ მოძრაობაში რომ არის ჩაბმულიო. მეტად აქტიური იყო აპრილის დღეებში. 7-ში თავის მეგობარ გოგონებთან ერთად იყო სტუმრად მოსული ჩემთან და ასე თქვა სიტყვასიტყვით: -როგორ მინდა, რომ საქართველოსთვის თავი დავდო. თუ ჩემი სისხლი გამოდგება, მინდა ეს სისხლი ჩემი ერისათვის გავიღო.

ბიძაშვილი - ინგა:

-ადრეც მსმენია მისგან ასეთი სიტყვები. 1988 წლის ნოემბერში ხონში ვიყავით და ტაქსის მძღოლმა მანანას უთხრა: -რას იკლავთ, ბიძია, თავს, ვის ებრძვითო და მანანამ უპასუხა: -მე თუ ისე, უბრალოდ მოვკვდები, ვინ გაიგებს ამას და თუ ერის თავისუფლებისათვის ბრძოლას შევეწირები, ჩემს ერს გამოვადგები ამითო.

და - მაია:

-შეეწირა კიდეც მანანა თავის საქართველოს და მამამისის გვერდით დაკრძალეს მუხათგვერდში. სხვათა შორის, მანანას მამა ჰყავდა ახლად გარდაცვლილი და თვით მანანას ენახა სიზმარში 9 აპრილამდე ცოტა ადრე: მამის საფლავი და მის გვერდით მწოლიარე ვიღაც, ოღონდ ვერ გაერჩია, ვინ იყო. დღეს იმ "ვიღაცის" ალაგს მისი საფლავია - მანანასი...

## ვენერა მეტრეველი

და - ქალბატონი ციალა:



-რვა და-ძმანი ვართ და ვენერა ყველასაგან გამორჩეული ბუნებისა იყო: კეთილი, სათნო, უბოროტო. ექთნად მუშაობდა და ყველას სატკივარი გულთან მიჰქონდა - ნაცნობს და უცნობს ღამეებს უთენებდა. სომხეთში რომ მიწისძვრა მოხდა, თუმცა ასთმიანი იყო, სისხლი ჩაუბარებია. ტაქსში ცუდად გამხდარა. მძღოლი სომეხი ყოფილა და მიზეზი რომ გაუგია, სულ ცრემლები გადმოუყრია და ასე ტირილ-ტირილით მიუყვანია სახლში. პირად ცხოვრებაში ბედი არ სწყალობდა: ვაჟიშვილი ჰყავდა პატიმარი და ძალიან განიცდიდა. მაგრამ ბოლო წლებში, რაც ეროვნული მოძრაობა დაიწყო, სულ გამოიცვალა. ასე ამბობდა ხოლმე: -ეს მამშვიდებსო მხოლოდ.

რძალი - ნათელა გოგალაძე:

-მე მისი მუდმივი თანმხლები ვიყავი მიტინგებსა და დემონსტრაციებზე. 14 ნოემბერს ერთად ვიყავით იპოდრომზე. ნოემბრის აქციებშიც ერთად ვიღებდით მონაწილეობას. 9 აპრილის წინა დღეებში გასაკვირად მხიარული და აღტაცებული იყო. იმ ღამეს მეზობელთან ერთად წასულა სასახლესთან და დარბევის შემდეგ მწამვლელი გაზისაგან სული რომ შეგუბებია, ის მეზობელი მთელი ხმით ყვიროდა თურმე: -უღმერთოებო, ასთმიანი ქალი არ მომიკლათო!

ცოცხალ-მკვდარი წაუყვანიათ საავადმყოფოში. დღითიდღე უარესად ხდებოდა. იმ პერიოდში გაიგო, როგორ დაკრძალეს დაღუპულები და როგორ გლოვობდა მათ სიონში მთელი საქართველო. მაშინ მითხრა:

-ნეტავ ისეთი ბედი მქონოდა, რომ მეც იქ მოვმკვდარიყავი, ჩემს საქართველოს შევწირვოდი. რა ბედნიერება იქნებოდა: მოხვიდოდით სიონთან, ჩემს სურათს დაინახავდით და იტყოდით - სამშობლოსათვის დაიღუპაო. ამის ბედიც არ მქონია!

11 მაისს უკანასკნელი ძალ-ღონე მოუკრებია, საავადმყოფოდან გაპარულა და სახლი მიულაგებია და მოუწესრიგებია. საავადმყოფოში დაბრუნდა და 12 მაისს გარდაიცვალა.

/ხაშური/.

## თამარ მამულაშვილი

დედა - ქალბატონი მაყვალა:



ღრმად განათლებული ქალი იყო თამარი. რამდენიმე სამეცნიერო შრომაც ჰქონდა გამოქვეყნებული. მის ბინაში წიგნების მეტს ვერაფერს ნახავდით. რაც თავი მახსოვს, ეროვნული პრობლემებით იყო დაკავებული. სულ საქართველოს ბედზე სწუხდა, მის მომავალზე ფიქრობდა. -რად უნდა იყოს ქართველი ერი მონა, რატომ არ არის იგი ღირსი თავისუფლების? -აი რა იყო მისი განსჯის საგანი.

აპრილის პირველ დღეებში მიტინგებზე არ გასულა. 8-ში კი დაიჟინა -დღეს იქ უნდა ვიყოთ, ჩვენ რომ იქ არ წავიდეთ, არაფრით არ შეიძლებაო!

ქალიშვილი - ვერიკო:

-წინა დღეებში გამუდმებით მოშიმშილეებზე ლაპარაკობდა. მათი მდგომარეობით იყო დაინტერესებული. ჩემი კლასელის და შიმშილობდა და ჩვენც პირდაპირ სასახლის კიბეებისაკენ წავედით.

დედა - ქალბატონი მაყვალა:

-მერე ის საბედისწერო წუთები დამდგარა და რაკი ერთხელ უთქვამთ, -თუნდ დავიხოცოთ, აქ უნდა ვიყოთო - იმ ხოცვა-ჟლეტის შუაგულში აღმოჩენილან ორივენი. ისიცა და ვერიკოც ადამიანთა გროვის ქვეშ მოჰყვნენ. გულწასული ვერიკო მხატვრის სახლში შეუყვანიათ. თამარის ნაჯახებითა და ნიჩბებით დასერილი გვამი კი ქალაქის I საავადმყოფოს მორგში ამოუცვნიათ მოგვიანებით.

## შალვა ქვასროლიაშვილი

დედა - ქალბატონი თამარი:



-სულ იქ იყო, იმ მიტინგებზე. წავიდოდა და წავიდოდა ხოლმე. ნოემბერშიც იქ იყო, აპრილშიც. რომ ჩამოვიდოდა, გული არ უჩერდებოდა და ისევ უკან, თბილისში ბრუნდებოდა. ქმარი ახალი დაღუპული მყავდა და გული ისევ ცუდს მიგრძნობდა. მაგრამ ვერ ვაჩერებდით: -რას ამბობ, დედი, შენ შენს საქმეს მიხედე, -მეტყოდა ხოლმე - ჩემი საქმე კი ის არის, იქ უნდა ვიყოო...

ბიძაშვილი - ციცინო ქევხიშვილი:

-ეხლაო, საქართველოს დამოუკიდებლობა შესაძლებელია, ძალიანაც შესაძლებელია და ჩემი ვალია იმ მიტინგებზე ყოფნაო.

ისეთი იყო, სულს ამოიღებდა და შენ ჩაგიდგამდა. ვერ მოითმენდა, მის გვერდით ვინმეს უდიერად მოქცეოდნენ. იმ ღამესაც შუა ჩეხვაში გადაეშვა თურმე: -ქალს როგორ ურტყამთ, ქალსაო და ისიც ზედ მიაყოლეს იმ ქალს.

მეუღლე - თამილა:

-მშობლებთან ვიყავით შალაურში. 7 აპრილს დაიჟინა თბილისში უნდა წავიდეო. -მეც წამოვალ-მეთქი, ვუთხარი. -კარგი, ჩაიცვი და წამოდიო. უკვე ჩაცმული ვიყავი, რომ უარი მითხრა: -არა, შენ დარჩი, ბავშვებს მიხედეო, რა წინათგრძნობა ჰქონდა, არ ვიცი. მანამდე, 5 აპრილს დედაჩემმა უთხრა: -წლეულს, 2 მაისს სოფლის დღეობაზე ხომ ამოხვალ შალაურშიო? -არაო, მე ვერ ამოვალ, მე ვერ ვიქნებიო. -რათაო, მაშ სად იქნებიო? -ეგ არ ითქმებაო...

9-ში, ტელევიზორით რომ ამოიტანეს თბილისის ამბები, მე ილია II-ზე და ვახუშტი კოტეტიშვილზე ვწუხდი. უცებ ჩემმა რძალმა მითხრა, შალვა დაჭრილი ყოფილაო. იმ წუთში მივხვდი, რომ აღარ იქნებოდა ცოცხალი. ვიცოდი ის იქამდე იბრძოლებდა, რომ ცოცხალი ვერ გამოვიდოდა იმ ადგილიდან. მართლაც, თავიც გაჩეხილი ჰქონია, საწამლავიც შეუსხამთ. სულთმობძავი გადაუყვანიათ საავადმყოფოში. გვარი უკითხავთ და "ქვა...ქვა"-ო რომ ანაწევრებდა პირველ ასოებს, უფიქრიათ ქვა მოხვედრია და საბრალო იმას იმეორებსო, გვარის თქმა კი ეწადა...ბოლოს ესღა უთქვამს: "შვილი, ორი შვილიო..." და სული განუტევებია.

დასასრული იხ. გვ. 6.

## მამუკა ნოზაძე

დედა - ქალბატონი ალექსანდრა:



მამუკა თბილისში სწავლობდა ტექნიკუმში. ძალიან ყურადღებიანი იყო. ადრე ყოველ შაბათ-კვირას ჩამოდიოდა ხოლმე. ბოლო დროს კი აღარ ჩამოდიოდა. ასე მატყობინებდა, ქორწილებში ვარ დაპატიჟებულიო...

და - ინგა:

-ატყუებდა დედას, რომ არ შეშინებოდა, თორემ სინამდვილეში იმ დროს მიტინგებში და შიმშილობებში იღებდა მონაწილეობას. ჩემთვის ნათქვამი ჰქონდა:

-თუ ჩვენით რაღაც გაკეთდება, მეც იქ უნდა ვიყო, თავი უნდა დავდოთ საქართველოს თავისუფლებისთვისო. საქართველო საოცარი სინაზით უყვარდა და მისი ისტორიული წარსულიც განსაკუთრებულად კარგად იცოდა.

ბუნებითაც დიდსულოვანი იყო: არც არავის დაჩაგრავდა, არც არავის დაეჩაგვრინებოდა. ერთდროულად თბილიც იყო და უშიშარიც. იმ დღეებში უთუოდ აწუხებდა რაღაც წინათგრძნობა: I აპრილს, შაბათს, თავის მეგობართან, ზურაბ ხაჩიძესთან ყოფილა სტუმრად სოფელ ბოლოკიანში და მეგობრებისათვის ბოლო სადღეგრძელოდ სუფრაზე უთქვამს:

-ძმებო, მოდით ეს იმას გაუმარჯოს, ვინც ჩვენს შორის პირველი მოკვდებაო!

ლაგოდეხის რ-ნი სოფ. ყარსუბანი

## ელისო ჭიჭაშვილი

მამა - ბატონი გიორგი:



-ელისო ღრმად მორწმუნე გოგონა იყო. ყველა საეკლესიო წესსა და ჩვეულებას იცავდა. უპირველეს მოვალეობად მიაჩნდა სამართლიანობისათვის ბრძოლა. ხშირად იტყოდა ხოლმე: -რატომ ვართ ასე დაბეჩავებულნი, რატომ უნდა გვმძლავრობდეს რუსეთი, რატომ უნდა ვეკუთვნოდეთ სხვა ქვეყანას? ხომ გვქონდა დამოუკიდებლობა, რატომ არ უნდა დავიბრუნოთ ისევ? სოფელში რომ ჩავიდოდა, ახლა იქ იწყებდა იქაური ახალგაზრდობის გაცნობიერებას [illegible]. მე სულ ვეუბნებოდი: -გაჩუმდი გოგო, ნუ ლაპარაკობ ასეთ რამეებს-მეთქი. რა ვიცი, ცუდი წინათგრძნობა მქონდა. სიზმარიც ვნახე აპრილში: ვითომ ჩემი შვილები გადამყავდა წყალზე. უფროსი ბიჭი ზურგზე მყავდა მოკიდებული და ელისო -იღლიაში ამოჩრილი. ვახტანგი გადავიყვანე და ელისო წყალმა წამართვა. მართლაც წამართვეს 9 აპრილს ჩემი გოგო და ორი დღის შემდეგ მიყვა დედამისიც დარდისაგან. ვაჟკაცი გოგო იყო ელისო. ერთმა კაცმა ფასანაურში ჩამომიტანა ამბავი: იმ ღამეს ვიღაც ბავშვისთვის დაურტყამთ სალდათებს და ელისო გადაფარებია თურმე. ახლა აქეთ რომ მოუტრიალდა ის სალდათი, ელისოს უთქვამს: -რას შვრები, მე ფეხმძიმედა ვარო. იმას უფრო გამეტებით ჩაურტყამს: -ეშო ლუჩშეო!

მეგობარი - ქეთინო ჭიჭინაძე:

მეხუთე თვეზე იყო ფეხმძიმედ და როცა შევეკითხებოდით, არ გიჭირს განა მიტინგებზე სიარულიო, გვპასუხობდა: -იმიტომ დავდივარ და ვიბრძვი სხვებთან ერთად, რომ ჩემმა შვილმა მაინც იცხოვროს დამოუკიდებელ საქართველოშიო. მახსოვს, ერთი ჩვენი ამხანაგი აუხირდა, განა რას მივაღწევთ მიტინგებითო და ელისო უმტკიცებდა: -თუ ამ გზით არ დავიწყეთ ბრძოლა, სხვანაირად არაფერი გამოგვივაო.

თანამშრომელი - ქალბატონი თამარ ნატროშვილი:

-აპრილის იმ დღეებში ნამეტნავად კარგ ხასიათზე იყო. შვიდში სულ მღეროდა -ბავშვისთვის მიდიოდა რაღაცეების საყიდლებზე. იქიდან მიტინგზე უნდა წასულიყო. ვინ გაუბედავდა, ფეხმძიმედ ხარ და ნუ მიდიხარო -თვითონ მოჰყავდა სხვები...

მეგობარი - ირმა სომხიშვილი:

იმ დღესაც ამხანაგი წაუყვანია, ნარგიზა გეგიძე. ნარგიზა ჰყვებოდა მერე, როდესაც კათალიკოს-პატრიარქს სიტყვა დაუმთავრებია და დასაშლელად მოუწოდებია ხალხისათვის, ელისოს უთქვამს მისთვის:

-მე დაღუპვისა არ მეშინია. თუ აქ დავიღუპებით, მეცა და ჩემი შვილიც გმირებად მოვევლინებით საქართველოს...

მოგვიანებით, გაკვეთაზე აღმოჩნდა, რომ ელისო ბიჭის დედა უნდა გამხდარიყო თურმე...

## ესპანეთის კონსტიტუცია — მონარქიიდან მონარქიამდე



### ფრაგმენტები



„რა არის ხალხი ღვინიერ მეფისა?
მხოლოდ ცხვრის ფარა, უმწყემსოდ
შთენილი!"

შუმერული გამონათქვამი

ამ რუბრიკის შექმნით მიზნად ვისახავთ მკითხველს მივაწოდოთ დოკუმენტურ მასალებსა და ისტორიულ წყაროებზე დაყრდნობით ობიექტური ინფორმაცია ადრეული და თანამედროვე მონარქიული სახელმწიფოების შესახებ, რომელიც სრულიად უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის, ან თუ იცნობდა მხოლოდ გაყალბებული, დამახინჯებული სახით. ამ სახელმწიფოებს ჩვენ წარმოვაჩენთ პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური, საციალური და კულტურული ასპექტით. საჭიროდ მიგვაჩნია აგრეთვე ფართო მკითხველს გავაცნოთ შეძლებისდაგვარად ის რელიგიური და სალვთისმეტყველო ლიტერატურა, რომელშიც განხილულია, თუ რას წარმოადგენდა მეფე, რა იყო მეფობის ინსტიტუტის არსი და ა. შ. თუ რამდენად შევძლებთ მიზნის განხორციელებას, დაე თვით მკითხველმა განსაჯოს.

რუბრიკას გაუძღვებიან ა. ასათიანი, გ. კოტრიკაძე და მ. მაყაშვილი.

მე, დონ ხუან კარლოს I, ესპანეთისმეფე,
ვამცნობ ყველას, ვინც ნახავს და გაიგებს
ამ დოკუმენტს,
უწყოდეთ, რომ კორტესებმა მოიწონეს, ხოლო
ესპანელმა ხალხმა დაამტკიცა შემდეგი
კონსტიტუცია:

#### პრეამბულა

ესპანელი ერი, რომელსაც სურს დაამყაროს სამართლიანობა, თავისუფლება და უშიშროება და უზრუნველყოს ყველას კეთილდღეობა, ვინც მას შეადგენს, იყენებს რა თავის სუვერენულ უფლებას, აცხადებს, რომ ესწრაფვის:

გარანტირებული გახადოს დემოკრატიული თანაარსებობა კონსტიტუციისა და კანონების ფარგლებში სამართლიანი ეკონომიკური და სოციალური წეს-წყობილების შესაბამისად;

დააფუძნოს სამართლებრივი სახელმწიფო, რომელიც უზრუნველყოფს კანონის, როგორც ხალხის ნების გამოხატულების უზრუნველყოფას;

უზრუნველყოს ყველა ესპანელისა და ესპანეთის ყველა ხალხისათვის მოქალაქეობრივი უფლებების განხორციელება, თავიანთი კულტურებისა და ტრადიციების, ენების და ინსტიტუტების განვითარება;

ხელი შეუწყოს კულტურისა და ეკონომიკის პროგრესს, რათა ყველას ჰქონდეს უზრუნველყოფილი ღირსეული მდგომარეობა და ცხოვრების წესი;

შექმნას მოწინავე დემოკრატიული საზოგადოება და ითანამშრომლოს დედამიწის ყველა ხალხის მშვიდობიანი ურთიერთობის განმტკიცებისა და ნაყოფიერი თანაარსებობის მიზნით.

ამის შესაბამისად კორტესებმა მოიწონეს, ხოლო ესპანელმა ხალხმა დაამტკიცა შემდეგი

#### კონსტიტუცია

შესავალი კარი

მუხლი 1.

1. ესპანეთი კონსტიტუირდება სამართლებრივ სოციალურ და დემოკრატიულ სახელმწიფოდ, რომ[illegible]ლწესრიგის უზენაეს ფასეულობებად აცხადებს თავისუფლებას, სამართლიანობას, თანასწორობასა და პოლიტიკურ პლურალიზმს.

2. ეროვნულ სუვერენიტეტი ეკუთვნის ესპანელ ხალხს და იგი ქმნის სახელმწიფოს ხელისუფლებებს.

3. ესპანეთის სახელმწიფოს პოლიტიკურ ფორმას პარლამენტური მონარქია წარმოადგენს.

მუხლი 2.

კონსტიტუცია ეფუძნება ესპანელი ერის ურღვევ ერთობას, ყველა ესპანელისათვის ერთიან და განუყოფელ სამშობლოს; იგი ცნობს და უზრუნველყოფს მისი შემადგენელი ყველა ეროვნებისა და რაიონის ავტონომიის უფლებას, აგრეთვე სოლიდარობას მათ შორის.

მუხლი 3.

1. კასტილიური (ესპანური ენის სალიტერატურო ნორმა-მთარგმ.) არის ესპანეთის სახელმწიფოს ოფიციალური ენა. ყველა ესპანელი მოვალეა იცოდეს იგი და უფლება აქვს ისარგებლოს მით.

2. დანარჩენი ენები, რომლებზეც ლაპარაკობენ ესპანეთში, აგრეთვე ოფიციალურნი არიან რეგიონალურ ავტონომიურ გაერთიანებებში მათი სტატუტების შესაბამისად.

3. სხვადასხვა ლინგვისტურ თავისებურებათა სიმდიდრე ესპანეთში კულტურული მემკვიდრეობაა და განსაკუთრებული პატივისცემით და დაცვით სარგებლობს.

მუხლი 4.

1. ესპანეთის დროშა შედგება სამი ჰორიზონტალური ზოლისაგან - წითელი, ყვითელი და წითელი, ამასთანავე ყვითელი ზოლი ორჯერ უფრო ფართოა, ვიდრე თითოეული წითელი.

2. სტატუტებს შეუძლიათ სცნონ რეგიონალური ავტონომიური გაერთიანებების განსაკუთრებული დროშები და სარგებო ნიშნები. ყველა ისინი შეიძლება გამოყენებული იქნას სახელმწიფო დაწესებულებებსა და ოფიციალურ აქტებში ესპანეთის სახელმწიფო დროშასთან ერთად.

მუხლი 5.

სახელმწიფოს დედაქალაქია მადრიდი.

მუხლი 6.

პოლიტიკური პარტიები პოლიტიკური პლურალიზმის პრინციპის შესაბამისად მონაწილეობენ ხალხის ნების ფორმირებასა და გამოხატვაში და წარმოადგენენ პოლიტიკური მონაწილეობის ძირითად ინსტრუმენტს. მათი შექმნა და აქტიურობის გამოვლინება თავისუფალია კონსტიტუციისა და კანონის პატივისცემის პირობით. მათი შიდა სტრუქტურა და საქმიანობა დემოკრატიული უნდა იყოს.

მუხლი 7.

მშრომელთა პროფკავშირებისა და მეწარმეთა ასოციაციებს თავისი წვლილი შეაქვთ ეკონომიკური და სოციალური ინტერესების დაცვისა და განხორციელების საქმეში, რომლებიც აგრეთვე მათ საკუთარ ინტერესებს წარმოადგენენ, მათი შექმნა და აქტივობის გამოვლენა თავისუფალია კონსტიტუციისა და კანონის პატივისცემის პირობით. მათი შინაგანი სტრუქტურა და საქმიანობა უნდა იყოს დემოკრატიული.

მუხლი 8.

1. შეიარაღებულმა ძალებმა, რომლებიც შედგებიან სახმელეთო ჯარებისაგან, სამხედრო-საზღვაო ფლოტისაგან და სამხედრო-საჰაერო ძალებისაგან, უნდა უზრუნველყონ ესპანეთის სუვერენიტეტი და დამოუკიდებლობა, დაიცვან მისი ტერიტორიული მთლიანობა და კონსტიტუციური წესრიგი.

2. შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის საფუძვლები ორგანული კანონით იქნება განსაზღვრული მოქმედი კონსტიტუციის პრინციპებთან შესაბამისობაში.

მუხლი 9.

1. მოქალაქეები და საჯარო ხელისუფლება ვალდებულნი არიან დაიცვან კონსტიტუცია და პატივი სცენ სამართლებრივ წესრიგს.

2. საჯარო ხელისუფლება უზრუნველყოფს პირობებს, რომელთა დროს ინდივიდებისა და მათ მიერ შექმნილი ჯგუფების თანასწორობა და თავისუფლება ხდება ნამდვილი და ეფექტური, ყველა დაბრკოლების ან სიძნელის აღმოფხვრა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და პოლიტიკურ, ეკონომიურ, კულტურულ და სოციალურ ცხოვრებაში ყველა მოქალაქის თავისუფალი მონაწილეობისათვის.

3. კონსტიტუცია იძლევა კანონიერების პრინციპის, ნორმატიული აქტების, მათი სავალდებულო გამოქვეყნების, პირადი უფლებების განხორციელების ხელისშემშლელი ან მათი შემზღუდავი სანქციების შემცველი ნორმების უკუქცევითი ძალის არარსებობის, იურიდიულ დაცვაზე უფლების, საჯარო ხელისუფალთა თვითნებური მოქმედებისათვის სასამართლო პასუხისმგებლობის გარანტიებს.

#### კ ა რ ი I

ძირითადი უფლებები და მოვალეობები

მუხლი 10

1. პიროვნებების ღირსება, მისი განუყოფელი უფლებების ხელშეუხებლობა, პიროვნების თავისუფალი განვითარება, კანონისა და სხვათა უფლებების პატივისცემა წარმოადგენს პოლიტიკური წესრიგისა და სოციალური მშვიდობის საფუძველს.

2. ნორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ კონსტიტუციით, აღიარებულ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს შეესაბამებიან ადამიანთა უფლებების საყოველთაო დეკლარაციას, ამავე საკითხებზე ესპანეთის მიერ რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს.

#### თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი

ე ს პ ა ნ ე ლ ე ბ ი დ ა უ ც ხ ო ე ლ ე ბ ი

მუხლი 11

1. ესპანეთის მოქალაქეობის მიღება, შენარჩუნება და დაკარგვა ხდება კანონის შესაბამისად.

2. წარმოშობით არც ერთ ესპანელს არ შეიძლება ჩამოერთვას მოქალაქეობა.

3. სახელმწიფოს შეუძლია დადოს ხელშეკრულება ორმაგ მოქალაქეობაზე იბერამერიკულ ქვეყნებთან ან იმ სახელმწიფოებთან, რომლებსაც ჰქონდათ ან აქვთ განსაკუთრებული კავშირები ესპანეთთან. ამ ქვეყნებში, თუნდაც ისინი არ სცნობდნენ თავისი მოქალაქეების ასეთ უფლებას ნაცვალგების საფუძველზე, ესპანელებს შეუძლიათ ნატურალიზება დაბადებით თავისი მოქალაქეობის დაუკარგავად.

მუხლი 12

ესპანელები სრულწლოვანებად ითვლებიან თვრამეტი წლის ასაკიდან.

#### თ ა ვ ი მ ე ო რ ე

უ ფ ლ ე ბ ე ბ ი დ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ბ ი

მუხლი 16

1. გარანტირებულია იდეოლოგიის, სარწმუნოებისა და ინდივიდებისა და მათი გაერთიანებების მიერ კულტმსახურების შესრულების თავისუფლება რაიმე შეზღუდვის გარეშე, გარდა იმათი, რომლებიც აუცილებელია კანონით დაცული საზოგადოებრივი წესრიგის შენარჩუნებისათვის.

2. არავინ არ არის ვალდებული განაცხადოს თავის იდეოლოგიაზე, რელიგიაზე ან რწმენაზე.

3. არც ერთი რელიგია არ შეიძლება იყოს სახელმწიფოებრივი. საჯარო ხელისუფლებამ მხედველობაში უნდა იქონიოს ესპანური საზოგადოების რელიგიური რწმენა და ხელი შეუწყოს თანამშრომლობით ურთიერთობას კათოლიკურ ეკლესიასთან და სხვა სარწმუნოებებთან.

მუხლი 19.

ესპანელებს უფლება აქვთ თავისუფლად აირჩიონ საცხოვრებელი ადგილი და გადაადგილდნენ ეროვნულ ტერიტორიაზე. აგრეთვე მათ უფლება აქვთ თავისუფლად ჩამოვიდნენ ესპანეთში და გაემგზავრონ იქიდან კანონით დადგენილ პირობებში. ეს უფლებები არ შეიძლება შეზღუდულ იქნას პოლიტიკური ან იდეოლოგიური შეხედულებებით.

მუხლი 20.

...

3. კანონი არეგულირებს სახელმწიფოზე ან ნებისმიერ საჯარო დაწესებულებაზე დამო-

კიდებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ორგანიზაციას და პარლამენტურ კონტროლს, და ამ საშუალებებთან მიდგომის გარანტიას იძლევა სხვადასხვა წარმომადგენლობით სოციალურ და პოლიტიკური ჯგუფებისათვის, რომლებიც პატივს სცემენ ესპანეთში სხვადასხვა ენების არსებობასა და საზოგადოების პლურარიზმს.

მუხლი 21

1.აღიარებულია მშვიდობიანი და უიარაღო კრებების უფლება. ამ უფლების განხორციელება არ საჭიროებს წინასწარ ნებართვას.

2.ხალხმრავალ ადგილებში კრებებისა და დემონსტრაციების ჩატარების შესახებ ხელისუფლება წინასწარ უნდა იქნას გაფრთხილებული. მ ა ს შეუძლია აკრძალოს ისინი, როცა საკმარისი საფუძველი აქვს ივარაუდოს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა, დაკავშირებული საფრთხესთან ადამიანებისა და ქონების მიმართ.

მუხლი 22

1.აღიარებულია გაერთიანების უფლება.

2.გაერთიანებები, რომლებიც მიზნად ისახავენ ან იყენებენ დანაშაულებრივ კლასიფიცირებულ საშუალებებს, ითვლებიან ჰრალეგალურად.

3.გაერთიანებები, შექმნილი ამ მუხლის შესაბამისად, უნდა შეტანილი იქნას რეესტრში ერთადერთი მიზნით-მათი საჯაროდ გამოტანისათვის.

4.გაერთიანებები შეიძლება დაიშალოს ან მათი საქმიანობა შეჩერდეს მხოლოდ დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილების ძალით.

5.აკრძალულია საიდუმლო საზოგადოებები და გასამხედროებული გაერთიანებები.

მუხლი 23

1.მოქალაქეებს უფლება აქვთ საზოგადოებრივ საქმეებში მონაწილეობა მიიღონ უშუალოდ ან წარმომადგენლების მეშვეობით, რომლებიც თავისუფლად არიან არჩეული პერიოდულად ჩატარებულ არჩევნებზე, საერთო სახალხო კენჭისყრის გზით.

2.მათთვის აგრეთვე ხელმისაწვდომია თანასწორობის პირობებში საზოგადოებრივი და სახელმწიფო თანამდებობები კანონის შესაბამისად.

მუხლი 25

...

2.თავისუფლების აღკვეთა და სოციალური დაცვის სხვა ზომები მიზნად ისახავენ მსჯავრდებულის ხელახლა აღზრდას და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დაბრუნებას, და ეს ზომები არ შეიძლება შეიცავდნენ იძულებით შრომას. მსჯავრდებული პატიმრობის პერიოდში სარგებლობს ამ თავში ჩამოთვლილი ძირითადი უფლებებით, იმ გამონაკლისების გარდა, რომელთა შეზღუდვა განსაზღვრულია განაჩენით, სასჯელის შემადგენლობით და პენიტენციარული კანონით. ნებისმიერ შემთხვევაში მსჯავრდადებულს აქვს ხელფასიანი სამუშაოს და სოციალური დაზღვევით სარგებლობის უფლება. აგრეთვე ხელმისაწვდომია კულტურა და მისი პიროვნების სრულფასოვანი განვითარება.

მუხლი 26.

პროფესიონალური ორგანიზაციებისა და სამოქალაქო ადმინისტრაციის საქმიანობის სფეროში აკრძალულია ღირსების სასამართლოები.

მუხლი 28.

1.ყველას აქვს პროფკავშირში თავისუფლად გაერთიანების უფლება. კანონს შეუძლია შეზღუდოს ეს უფლება ან გამონაკლისი გააკეთოს ამ უფლებიდან შეიარაღებული ძალების, სამხედრო ან სამხედრო დისციპლინას დაქვემდებარებულ დაწესებულებების მიმართ. კანონით განსაზღვრულია სახელმწიფო მომსახურეების მიერ ამ უფლებით სარგებლობის თავისებურებები. პროფკავშირული საქმიანობის თავისუფლება შეიცავს პროფკავშირების შექმნის უფლებას, მათში საკუთარი არჩევანით შესვლას, და აგრეთვე პროფკავშირების კონფედერაციად გაერთიანების უფლებასა და საერთაშორისო პროფესიონალური ორგანიზაციების დაარსებას, და აგრეთვე ასეთებთან შეერთებას, არავინ არ შეიძლება ძალდატანებით გაერთიანებული იქნას პროფკავშირში.

2.აღიარებულია მშრომელთა გაფიცვების უფლება საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით. ამ უფლების განხორციელების მარეგულირებელი კანონით დადგენილია ზუსტი გარანტიები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისათვის უაღრესად აუცილებელი სამსახურების საქმიანობას.

## თ ა ვ ი  მ ე ს ა მ ე
## ს ო ც ი ა ლ უ რ - ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი  პ ო ლ ი ტ ი კ ი ს  ფ უ ძ ე მ დ ე ბ ე ლ ი  პ რ ი ნ ც ი პ ე ბ ი ს  შ ე ს ა ხ ე ბ

მუხლი 46.

საჯარო ხელისუფლებანი უზრუნველყოფენ ესპანეთის ხალხების ისტორიულ, კულტურული და მხატვრული მემკვიდრეობის და მის შემადგენელ სიმდიდრეთა შენახვას და დაცვას მათი იურიდიული სტატუსისა და მდგომარეობის მიუხედავად. სისხლის სამართლის კანონი ითვალისწინებს სანქციებს ამ მემკვიდრეობის ხელყოფის წინააღმდეგ.

გ ა გ რ ძ ე ლ ე ბ ა  იხ. შემდეგ ნომერში.

### ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  ე რ ო ვ ნ უ ლ - გ ა ნ მ ა თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ე ლ ი  მ ო ძ რ ა ო ბ ი ს  ს ა გ ა ნ გ ე ბ ო

# კ ო ნ ფ ე რ ე ნ ც ი ა

1990 წლის 9 მარტს, მთავრობის სახლის წინ გაიმართა სახალხო მანიფესტაცია, სადაც წაკითხულ იქნა - საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიის, წმინდა ილია მართალის საზოგადოების, საქართველოს მონარქისტული /კონსერვატორული/ პარტიის, თეთრი გიორგის კავშირისა და მერაბ კოსტავას საზოგადოების მიმართვა ქართველი ერის, საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაერთიანებებისადმი. მიმართვაში ხაზგასმული იყო, რომ საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საყოველთაო გაშლამ ქართველ ერს ყველანაირი პირობები უნდა შეუქმნას იმისათვის, რომ სამართლებრივი, პოლიტიკური და ზნეობრივი საშუალებებით დააფუძნოს დამოუკიდებელი საქართველო. ამასთანავე ამ მოძრაობამ უნდა დააჩქაროს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა. ამიტომაც 13 მარტს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში უნდა მოწვეულიყო სპეციალური შეკრება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებდნენ საქართველოს ეროვნულ-პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი გაერთიანებები. შეკრების მთავარი მიზანი იყო ეროვნული ფორუმის შედგენა, რომელიც ლასვამდა საკითხს ეროვნული ყრილობის მოწვევის და საყოველთაო-დემოკრატიული და პირდაპირი ფარული კენჭის ყრით გარდამავალი კოალიციური ოპოზიციური მთავრობის არჩევის შესახებ. კონფერენციის გამართვის ინიციატორები იყვნენ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, წმინდა ილია მართლის საზოგადოება, მონარქისტული /კონსერვატორული/ პარტია, თეთრი გიორგის კავშირი, მერაბ კოსტავას საზოგადოება.



სამი დღის განმავლობაში ცხარე კამათი და აზრთა გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა საქართველოს ეროვნული მოძრაობისათვის აუცილებელი და მტკივნეული პრობლემების გადასაჭრელად. კერძოდ დაისვა შემდეგი საკითხები:

ქართველი ერისა და საქართველოს მოსახლეობის ნების გამომხატველი იურიდიული პირის სტატუსის [illegible]

საგანგებო კონფერენციის მიერ საქართველოს ეროვნული ფორუმის არჩევა;

ბოიკოტი სსრ კავშირის საოკუპაციო არმიის რიგებში სამსახურისადმი;

საქართველოს ე.წ. სსრ უზენაესი საბჭოს არჩევნების ჩაშლა;

საქართველოს კომკავშირის ლიკვიდაცია;

დემოგრაფიული ექსპანსია;

საქართველოს საყოველთაო ეროვნული ყრილობის მოწვევა;

ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებლის შექმნის აუცილებლობა და აგრეთვე, მთელი რიგი მნიშვნელობით უფრო ნაკლები, მაგრამ საჭირბოროტო საკითხებისა.

საქართველოს მონარქისტული /კონსერვატორული/ პარტია იყო არა მარტო საგანგებო კონფერენციის მოწვევის ერთ-ერთი ინიციატორი, არამედ აქტიურ მონაწილეობას იღებდა მის მუშაობაში. შეკრების პირველ დღეს პარტიის წევრთა სახელით სიტყვით გამოვიდა ბატონი გიზო კორძაძე, რომელმაც ზოგადად მიმოიხილა ქართული მონარქიზმის პრინციპები და გამოხატა პარტიის პოზიცია კონფერენციაზე წამოყენებული მტკივნეული საკითხების მიმართ, ხოლო მეორე დღეს ბატონმა აკაკი ასათიანმა მეტად ზუსტი და საკადრისი პასუხი გასცა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარის, ბატონ გურამ მუჩაიძის პროვოკაციურ განცხადებას განთავისუფლების შემდეგ ძალაუფლების კანონიერი პატრონის შესახებ.

> საქართველოს მონარქისტულმა /კონსერვატორულმა/ პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება მფარველობა გაუწიოს ქალაქ თბილისის საფეხბურთო კლუბ „შევარდენს“. ასე, რომ მთელი პარტია, და განსაკუთრებით თბილისის მონარქისტული სადროშო კლუბ „შევარდენის“ გულშემატკივარია.
>
> მაგრამ ახლა, დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის სათავეებში კლუბი განიცდის ძლიერ ეკონომიურ გაჭირვებას და ამიტომაც ს მ /კ/ პ მიმართავს ქ. თბილისის საზოგადოებრიობას, რათა პარტიასთან ერთად შეძლების და სურვილის მიხედვით დაეხმაროს და თანაუდგეს უხუცეს ქართულ კლუბს.
>
> *

კონფერენციის მიერ მიღებულ იქნა დადგენილება ზემოთჩამოთვლილ საკითხებზე 6 პუნქტის გათვალისწინებით, აგრეთვე რეზოლუციები:

საქართველოში კომკავშირული ორგანიზაციის გაუქმების;

კრემლის მიერ მოწყობილი დემოგრაფიული ექსპანსიის შეწყვეტის;

იმპერიის საოკუპაციო ჯარების საქართველოდან გაყვანისა და საბჭოთა არმიაში გაწვევის შეწყვეტის;

საქართველოს ე.წ. უზენაესი საბჭოს არჩევნების ბოიკოტის;

ქართული ემიგრაციის დიდი ნაწილის მიერ რაღაც მზა რეცეპტების შეთავაზების უნდობლობის;

ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებლის შექმნის აუცილებლობის შესახებ./ეს წინადადება დააყენა მონარქისტულმა პარტიამ და ტექსტი მის შესახებ შეკრებილთ მოახსენა პარტიის თავჯდომარემ, ბატონმა თემურ ჟორჟოლიანმა./ რეზოლუციის ამ პუნქტს მკითხველს ვთავაზობთ მთლიანად:

### I I I  რ ე ზ ო ლ უ ც ი ა

ქართული ეროვნული სამხედრო სასწავლებლის შექმნის შესახებ

საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის საგანგებო კონფერენციას მიაჩნია, რომ, მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით, აუცილებელია შეიქმნას ეროვნული სამხედრო სასწავლებელი, რომელშიც აღდგენილი იქნება ქართველი ჟუნკრების გმირული ტრადიციები.

ამასთან დაკავშირებით მიგვაჩნია:

1. საქართველოს ეროვნულ ფორუმს დაუყოვნებლივ უნდა გადაეცეს ტერიტორია და შენობა ჟუნკერთა სამხედრო სასწავლებლის დასაარსებლად.

2. ეროვნული ფორუმის მიერ ჩატარდეს ახსნა-განმარტებითი სამუშაო, რათა სასწავლებელი დაკომპლექტდეს ღირსეული კანდიდატებით.

3. შეიქმნას საბანკო ანგარიში, რომელიც დააფინანსებს ჟუნკერთა სასწავლებელს.

4. ეროვნულმა ფორუმმა შექმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებას და ანგარიშვალდებული იქნება ეროვნული ფორუმის წინაშე.

5. საქართველოს ეროვნული მოძრაობის კონფერენცია მოუწოდებს ყველას: პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, საქველმოქმედო ორგანიზაციებს, ქართული საზოგადოებრიობის, ინტელიგენციის, მშრომელების, მოსწავლე თუ სტუდენტი ახალგაზრდობის, ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის წარმომადგენლებს გამოხატოს თავისი თანადგომა და მხარი დაუჭიროს გმირული ტრადიციების მქონე ქართველ ჟუნკერთა სასწავლებლის აღდგენის იდეას.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

დასკვნით დღეს მოხდა ეროვნული ფორუმის არჩევა, განისაზღვრა მისი ფუნქციები:

ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის კოორდინაცია და შეთანხმებული ხელმძღვანელობა, ეროვნული ყრილობის მოწვევა და საყოველთაო დემოკრატიული პირდაპირი და თანასწორი ფარული კენჭისყრის საფუძველზე გარდამავალი კოალიციური ხელისუფლების არჩევნების მოწყობა.

ამით ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ მუშაობა დაამთავრა.

ზ. ასკანელი - წ მ ი ნ დ ა  მ ო წ ა მ ე ნ ი
/დასასრული/

## მ ზ ი ა  ჯ ი ნ ჭ ა რ ა ძ ე



დედა - ქალბატონი ალექსანდრა:

-მზიას არაფერი ამ მთავრობისა არ სწამდა. ვერ ეგუებოდა მის ფლიდურსა და ვერაგ ბუნებას. ამიტომ, როგორც შეეძლო, ებრძოდა არსებულ ხელისუფლებას. ნოემბერში არცერთი მიტინგი არ გაუცდენია. აპრილშიც სულ რუსთაველზე იყო. მახსოვს, როგორ აღაშფოთა კრემლისაგან წაქეზებულ აფხაზ ძეშეცთომილთა გამოხლომებმა.

რვა აპრილის საღამოს ორჯერ მობრუნდა სახლში. მეგობრების ბავშვები ჰყავდა წაყვანილი და თავიანთ მშობლებს ჩამოურიგა. თვითონ კი მტრის ხელს ემსხვერპლა იმ ღამით. გული მიგრძნობდა, რომ ავი რამ უნდა მომხდარიყო სიზმარი მქონდა ნანახი: შავი ქვა მედო გულზე და ვიძრობდი. არ მინდოდა მზიას გაშვება, მაგრამ იმას რა დააკავებდა?!

ქალიშვილი - თეონა:

მე და დედა ნოემბერსა და აპრილში მთელი დღეების მანძილზე სულ მოშიმშილეებთან ვიყავით. დედას უზომოდ ებრალებოდა ეს ახალგაზრდები: -ჩვენ უნდა ვიშიმშილოთ მათ მაგივრადო - ამბობდა.

დედა იყო ღრმად მორწმუნე. ყველა მარხვას ინახავდა, ეზიარებოდა. არცერთ საეკლესიო დღესასწაულს არ გამოტოვებდა. შვიდ აპრილს ხარება იყო და ეკლესიიდან ამოვიდა მიტინგზე.

არცერთ არაფორმალურ ორგანიზაციაში არ იყო გაერთიანებული, მაგრამ აქტიურად დადიოდა ყველა მიტინგზე ყოველი ახალი პოლიტიკური მოვლენის კურსში იყო. სულ გული სწყდებოდა: -ჩემს სამსახურში ყველას სძინავსო, არავის არაფრის გაკეთება არ უნდაო. თავისი ბუნებით მაქსიმალისტი იყო და რადიკალურ გზებს ემხრობოდა. იტყოდა ხოლმე: -ყველაზე რადიკალური ჯგუფი რომ დაარსდება, იქ გავერთიანდებიო.

9 აპრილს გათენიისას ერთად ვიდექით მთავრობის სასახლის კიბეებზე. მოშიმშილეებს ვეხმარებოდით. ბოლომდე საოცარ სიმხნევეს ინარჩუნებდა დედა. ხოცვა-ჟლეტამდე რამდენიმე წუთით ადრე მე და თავის ამხანაგს, მზია კიკაიძეს, გვითხრა: -ნურაფრისა გეშინიათ, თუ რამე მოგვივა, საქართველოსთვის დავიღუპებით!

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები.

## ნ ო დ ა რ  ჯ ა ნ ვ ი რ ა შ ვ ი ლ ი



დედა - ქალბატონი ემილია:

-ნოდარის მამა-პაპანი წარმოშობით თიანეთიდან იყვნენ და ნოდარიც ნამდვილი მთის შვილი იყო: არავისი და არაფრისა ეშინოდა. ყველას ქომაგი იყო. ჯარში ყოფნის დროს კინაღამ ტრიბუნალში მოხვდა - უფროსს შეურაცხყოფა მიაყენებია ქართველებისთვის და ნოდარს თავით კედელზე მიუხეთქებია.

ნოემბერში ნოდარი სულ მთავრობის სასახლესთან ტრიალებდა მოშიმშილეებში. შარვლები ერთთავად სანთლის ნაღვენთით ჰქონდა დალაქავებული. მე მიმდინარე მოვლენებში ცუდად ვერკვეოდი და ნოდარი ცდილობდა აეხსნა ჩემთვის თუ რა მიზნებს ისახავდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა. რაკი ჩვენ მერაბ კოსტავას მეზობლები ვართ, მისი ბუნების პატრონი, გასაკვირი იქნებოდა, რომ ნოდარიც მერაბის თანამგრძნობი არ ყოფილიყო.

აპრილის დღეებში უცნაურად იყო აღელვებული, ნაცნობი გოგონასთვის უთქვამს, ცუდი ამბები დატრიალდებაო ჩვენთან. მე კი ვიცოდი, თუ ეს მოხდებოდა, ნოდარს აუცილებლად ხიფათი დაატყდებოდა. მოგვიანებით მისმა მეგობარმა მითხრა: -ნოდარი სულერთია სამართლიანობისათვის ბრძოლაში დაიღუპებოდა და თუ სიკვდილი ეწერა, იქნებ უკეთესია თავის სამშობლოს რომ შეეწირაო.

და - ფერიდე:

ნოდარი მრავალი წლით ადრე იყო მზად ამ გმირობისათვის. მას თავისი ცხოვრების მიზნად ჰქონდა დასახული საქართველოს თავისუფლებისათვის ბრძოლა დამპყრობთა ხელიდან გამოსახსნელად.

გივი ქირიკაშვილი - სიძე:

7 აპრილს შევხვდი უკანასკნელად. მიტინგზე მიდიოდა. გაჭირვების ტალკვესად იცნობდნენ მეგობრები და როგორც მერე შევიტყვეთ, იმ ღამესაც იშვიათი თავგანწირვა გამოუჩენია: ორი და, ლალი და მზია ქლიბაძეები გაურიდებია სასაკლაოს, სამშვიდობოს გაუყვანია და ისევ შებრუნებულა უკან. მაგრამ ველარ გამოუღწევია იქიდან...

## ნ ა ნ ა  ს ა მ ა რ გ უ ლ ი ა ნ ი
## მ ა რ ი ნ ე  ჭ ყ ო ნ ი ა - ს ა მ ა რ გ უ ლ ი ა ნ ი





ნანას დედა- ქალბატონი ლუბა:
/მარინეს დედამთილი/

-ჩვენს ოჯახს მძიმე მოგონებები ჰქონდა 1956 წლის მარტიდან შემორჩენილი. 9 ახალგაზრდა დაკარგა ჩვენმა ოჯახმა - სულ ახლობლები: დეიდაშვილები, მაზლიშვილები, მულიშვილები. 8 აპრილს ტელევიზორში რომ ახსენა 56 წელი რეზო თაბუკაშვილმა, მუხლთ მომეკვეთა.

იმ საღამოს ჩემი შვილი და რძალი დაბადების დღეზე იყვნენ და გვიან მოვიდნენ. ისევ რომ დააპირეს წასვლა, ვუთხარი, თაბუკაშვილმა ასე ილაპარაკა-მეთქი, თქვენ 1956 წელს არ შესწრებიხართ და არ იცით, რა შეიძლება დაგვატეხონ თავზე. ჩემმა რძალმა გამიცინა და მითხრა:

-რა მოგივიდა, დედა, რას შიშობ, თუ დაგვხოცავენ, საქართველოს თავისუფლებისთვის დავიხოცებით და ბავშვები კი შენ გაგვიზარდეო.

ამიხდინეს ეს სიტყვებიიმ ღამეს: ნანას პატარა გოგო დარჩა, რუსიკო, და მარინეს ქალ-ვაჟი: ნუციკო და ალიკო.

მეზობარი - ლალი ჯაჭავა:

-უკვე ერთი წელი მიიწურა, რაც პატარა ბიჭი დედის გარეშე წავიდა სკოლაში. მარინე სულ სახლში გარბოდა ხოლმე: -აკა უჩემოდ არ შეჭამს, არ დაიძინებსო...

ნუციკოს ორი თვით ადრე ლექსი დაუწერია. იმ ლექსში უმერთს შესთხოვდა, არ დამეკარგოს დედაო -პატარა გული უგრძნობდა ალბათ. იმ დილით მეზობლებში მოვძებნე, დავუძახე და საცოდავად გავუღიმე; არ ვიცოდი რა მეთქვა. თვითონ გამოიქცა, ჩამეხუტა და შემომტირა: -დედა მოკლესო! რუსუდანიც ხვდება, რომ დედა აღარა ჰყავს. ოღონდ, სად წავიდა, ვერ გაუგია - ყოველ ღამე ძილში დედას უხმობს.

ქალბატონი ლუბა:

-8 მარტს რუსიკომ მკითხა, ყვავილები ვის მივუტანო, დედა რომ აღარა მყავსო? მე ვუთხარი, მასწავლებელს-მეთქი.

ნანას და - გულსუნდა:

რუსიკო ზურაბ ჭავჭავაძის მონათლული იყო. ნათლიამ საღავის ჯვარი აჩუქა ნათლულს, რომელსაც აპრილამდე ერთი თვით ადრე ნაპირი ჩამოტყდა და ნანა ძალიან განიცდიდა ამ ამბავს. ნანა უაღრესად მორწმუნე იყო მისგან ვგებულობდით, როდის რა დღესასწაული მოდიოდა. იმ დღეებშიც მარხულობდა. საერთოდ გამოიცვალა, რაღაცნაირად აღტყინებული იყო. ადრე თავის საქმეებში იყო ჩაფლული, მაშინ კი სულ მიტინგებზე ენდოდა ყოფნა.

მეგობარი - მზია ბოლქვაძე:

-გაკვირვებული იყო: -ჩემი შვილი ადრე არსად მიშვებდა და ახლა მეუბნება, -შენ წადი დედა, მე დავიძინებო!

თანამშრომელი -ქალბატონი თინა ცქიტიშვილი:

-მორწმუნეობა ნანას გონიერების ნიშანი იყო. მას სწამდა მაშინ, როცა ჩვენ არ გვწამდა. საოცრად მთლიანი პიროვნება იყო შინაგანად. ყოველგვარ საერო საქმეს თანაუგრძნობდა, რაც საქართველოს წაადგებოდა. დარწმუნებული ვარ, იქ სადაც ერს და ქვეყანას დასჭირდებოდა, ნანა ყოველთვის პირველ ნაბიჯს გადადგამდა.

თანამშრომელი - ქალბატონი ლუცინა გაგუშვილი:

იმ საღამოს განსაკუთრებულად ლამაზი იყო. ღამის საათზე, წამოსვლა დავაპირე და მასაც შევთავაზე:

-მე აქ უნდა დავრჩე, დილაობით ნაკლები ხალხი რჩება და ამ დროს უჭირთ მოშიმშილეებსო, ყველაზე მეტად ახლა ვჭირდებით მათო - მიპასუხა.

ქალბატონი ლუბა:

-ასეთაც მოქცეულან სწორედ. დარბევ[illegible]უთებში ვიღაც კაცი მისულა მარინესთან და უთ[illegible]ა დარბევა მოხდება და გაერიდეთო. ის კი სა[illegible]გოდ უფრო შუაგულისაკენ წასულა: -მე აქ უნდა [illegible]ო. სიზმარი მაინც არ ენახა. რამდენიმე დღის წინ მიამბო ჩემმა რძალმა: სიზმარში თავისი გარდაცვლილი ამხანაგი ეპატიჟებოდა თურმე თავისთან და ეს უარობდა, ბავშვები მყავს, ვერ წამოვალო...

## თ ა მ უ ნ ა  ჭ ო ვ ე ლ ი ძ ე



დედა - ქალბატონი ლია:

-თამუნა მეთერთმეტე კლასში იყო მის პრწამსსა და შეხედულებებზე წარმოდგენას ალბათ ყველაზე უკეთ მისივე ლიურები შექმნიდნენ, მაგრამ ის დღიურები სახალხო ფრონტმა წაიღო და დაიკარგა.

თამუნა აღფრთოვანებული, აღტაცებული იყო ეროვნული მოძრაობის აღმავლობით. სამაგიეროდ, არ ენდობოდა ოფიციალურ ხელმძღვანელთა განცხადებებსა და დაპირებებს.

არ დამავიწყდება, უნივერსიტეტში რომ იყო შეხვედრა, სადაც პატიაშვილიც ჰყავდათ მიწვეული, მე ვთქვი, რა კარგია, რომ გვეღირსა განათლებული და გონიერი ხელმძღვანელი-მეთქი. თამუნამ შემომხედა და საყვედურით მითხრა: -დედა, ნუთუ ვერ ხედავ, რომ ორპირა არისო? ცოტაც მოიცადე და მალე შენც მიხვდებიო!

აპრილში, ისევე როგორც ნოემბერში, თამუნას არ გაუცდენია მიტინგის არცერთი დღე: სულ მოშიმშილეებთან იყო - მიჰქონდა წყალი და თბილი ტანსაცმელი. -დედა, სცივათ მოშიმშილეებსო-სიბრალულით იტყოდა ხოლმე -განსაკუთრებით საღამოთი და ღამით უჭირთ და ჩვენი იქ ყოფნა აუცილებელიაო.

რვაში მიტინგზე არ ვუშვებდი და მითხრა: -არა, დედა, ნუ დამიშლი, მე დღეს აუცილებლად უნდა წავიდეო. უგუნებოდ კი იყო, მაგრამ თავისი ამხანაგისთვის უთქვამს ერთ გარდაცვლილ თანატოლზე -იმისი წლისთავი მოდის და ალბათ აფორიაქებული იმიტომ ვარო.

თამუნა დიდად მორწმუნე იყო. ყოველ აღდგომას მამასთან ერთად მოივლიდნენ ხოლმე ჯერ სიონს, მერე ქაშვეთს, მერე წმინდა ნინოს ეკლესიას კუკიის სასაფლაოსთან, სადაც თამუნას თავისი ნათლია, მამა გაბრიელი ეგულებოდა.

ყოველდღიურ ცხოვრებაში ისეთი მორცხვი და მორიდებული იყო, რომ დასჭირვებოდა საათს ვერ ჰკითხავდა გამვლელს, რომელიაო. მითხრეს, 9 აპრილს მთავრობის სასახლის კიბეებთან ცეკვავდაო. ვერ დამიჯერებია, როგორ ეყო საამისოდ გამბედაობა. თუმცა, უნდა ითქვას, მას არ აკლდა ჯანსაღი პატივმოყვარეობა. ერთხელ თავის მაღალ მოწოდებაზე ლაპარაკობდა ერის სამსახურად. მე შევნიშნე: -შვილო, შენ რატომ გიყვარს-მეთქი მაღალფარდოვანი ლაპარაკი. თამუნამ მიპასუხა:

-რომ მითხრან, ჩემი საქართველოს სასიკეთოდ მსხვერპლად შეწირულს მთაწმინდაზე დაგასაფლავებთო, მზად ვარ დღესვე მოვიკლა თავი!

ცხრა აპრილს დაღუპულთა შორის იყვნენ ორივე სქესის სხვადასხვა ასაკის ადამიანები: უპირატესად ქალები და ახალგაზრდები. ყველა სოციალური ფენის - გლეხობის, მუშათა და ინტელიგენციის წარმომადგენლები. იყვნენ როგორც ღარიბი, ისე შეძლებული ოჯახის შვილები. ჩვეულებრივ, ყოფით ცხოვრებაში ზოგი მხნე და უშიშარი, ზოგიც - პირიქით - მოშიშარი, რაც მეტად ფასეულს ხდის ჩადენილ გმირობას. უშუალოდ ტრაგედიის წინ წინასწარგანწყობაც სხვადასხვა ჰქონდათ - ზოგს უსიამოვნო, ფიქრთა ამშლელი, სხვებს- ზეაწეული და აღმატებული.

მაგრამ ყოველ მათგანს, განურჩევლად სქესისა, ასაკისა, თანამდებობისა, ქონებრივი ცენზისა - ჰქონდათ ერთიანი რწმენა -რწმენა საქართველოს მომავლისა და მზად იყვნენ გაეწირათ სიცოცხლე სამშობლოს ბედნიერებისათვის. არცერთი არ ყოფილა ურწმუნო ათეისტი, ყველანი მართლმადიდებელი ქრისტიანები იყვნენ და საკუთარი თავი წინასწარგანზრახულებით ჰქონდათ მიტანილი ერის სამსხვერპლოზე, რისი დასტურია მათი სიტყვიერი განცხადებანიც. ამ ახალი დროის წ მ ი ნ დ ა  მ ო წ ა მ ე თ ა მიერ დაღვრილმა სისხლმა ახალი ჟამთაღრიცხვა დაიწყო საქართველოში და უკვდავების ნიშნით აღბეჭდილი მათი სახელები კურთხევით მოიხსენიება შთამომავლებში აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!

ზ უ რ ა ბ  ა ს კ ა ნ ე ლ ი

# სამძიმარზე ბაქოში

2 მარტს იანვრის უდანაშაულო მსხვერპლთა ორმოცზე, საქართველოს სხვადასხვა პარტიებისა და ორგანიზაციებთან ერთად ბაქოში სამძიმარისათვის იმყოფებოდნენ მონარქისტული პარტიის წარმომადგენლებიც.

ჩვენს დელეგაციას დახვდნენ და მთელი დღის განმავლობაში არ მოსცილებიან აზერბაიჯანის სახალხო ფრონტისა და ორგანიზაცია "ბირლიქ"ის /"ერთობა"/ აქტივისტები და ადგილობრივი პრესის მუშაკები.

ჩვენი ჩასვლის დროისათვის ბაქო განსაკუთრებული, საგანგებო მდგომარეობის კანონებით ცხოვრობდა: კომენდანტის საათი მოქმედებდა ღამის 12-დან დილის 5 საათამდე. ქალაქში ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდებოდა სამხედრო პატრული.

მასპინძლებმა პირველად ტრაგედიის ერთ უმთავრეს ადგილზე, ლენინის მოედანზე მიგვიყვანეს. ასფალტნაგებ მოედანს რამდენათგან ამოზრდოდა ახალნაყარი მიწის პატარა ბორცვები და ამ მიწაზე ყველგან ყვავილები ეწყო. აღმოჩნდა, რომ მიწით მოედნის შესაბამის ადგილებზე დაღვრილი სისხლი დაეფარათ და როგორც წმინდა ალაგს, ისე მოჰქონდათ აქ ყვავილები. ამ მოედანს თავად ჩვენი მასპინძლები ისევე, როგორც ყველა ბაქოელი, უკვე ახლავ "თავისუფლების" მოედანს ეძახიან, თუმცა იგი 2 მარტისათვის ჯერ კიდევ შორს გახლდათ რეალურად ამ სახელწოდებისაგან: მოედანი ოთხივ მხრიდან ტანკებითა და ეგრეთ წოდებული "ბეტეერებით" იყო გარშემოტყმული და მათ გასწვრივ ხელკეტის დარდიმანდულად ქნევით მოსიარულე ჯარისკაცები დააბიჯებდნენ. როგორც გავარკვიეთ, მათი ქცევა აქაც არაფრით განირჩევა თურმე ჩვენებური აპრილის შემოქმედთა ქცევისაგან: იგივე დაუნდობლობა, სისასტიკე, ღამ-ღამობით ძარცვა-გლეჯა, მაღაზიების დარბევა და არყით ლოთობა. "ესენი მხეცებიც არ არიან. მხეცი კიდევ რბილად ნათქვამი სიტყვაა, მათ მოქმედებასთან შედარებით" ერთხმად შენიშვნავდნენ ჩვენი მასპინძლები.

სულ ბაქოში 1000-ზე მეტ მოკლულს ვარაუდობენ. კასპიის ზღვა დღემდე რიყავს თურმე გვამებს. იმ ავადსახსენებელი იანვრის დღეებში კლავდნენ განურჩევლად ყველას, დიდიან-პატარიანად: ბავშვებს, ქალებს, მოხუცებს. მოუკლავთ ერთი უსინათლო, რომელიც ჯოხის კაკუნით გადადიოდა ქუჩაზე, მოუკლავთ ესტონელი გოგონა, რომელიც კინოკამერით ცდილობდა მთელი ამ საშინელებების გადაღებას, მოუკლავთ მამა-შვილი, რომლებიც ავტობუსიდან გადმოვიდნენ და ჯარისკაცების მხედველობის არეში მოხვდნენ ...

მოგვიანებით ვესტუმრეთ ქალაქის იმ უბნებს, სადაც განსაკუთრებული მძვინვარებით დაატრიალეს ტრაგედია: თბილისის პროსპექტს. სწორედ ამ ქუჩაზეა განლაგებული ე.წ. "სალიანის" ყაზარმები, სადაც მომხდარმა ამბებმა უამრავი ნითქმა-მოთქმა გამოიწვია. ვერსიების შეჯერებით თავს არ შეგაწყენთ, ხოლო ამ ქუჩის მცხოვრებთაგან მიღებული ინფორმაციით კი მოგახსენებთ, რომ მათ სისხლისღვრამდე რამდენიმე დღით ადრე დაპირებიან: "თქვენს თბილისის პროსპექტზე ახალ თბილისს გაგიმართავთო" და აკი გაუმართეს კიდეც! ამ ქუჩის ერთი ბოლოდან მეორესაკენ დაძრულან ტანკები და განსაკუთრებით უსახელებიათ თავი ხალხის ჟლეტით იმ მოედანთან, რომელსაც გასაკვირი შესაბამისობით "მე-II არმიის მოედანი" ჰქვია. ამ მოედანს ხალხი დღეს "სისხლიან მოედანს" ეძახის. ასეც დაუწერიათ უზარმაზარი ასოებით: "Ганлы Мejдан"!



იმ დღეს, 2 მარტს, უამრავი ხალხი იყო თავშეყრილი "სისხლიან მოედანზე", მაგრამ ყველა გზა ყველა ქუჩიდან და მოედნიდან მაინც კიროვის პარკისაკენ მიდიოდა. /სხვათა შორის, როგორც გვითხრეს, არც ამ პარკის სახელწოდებას უწერია დიდი დღე და არც იმ ურჩხულისხელა მისი სახელმდების ქანდაკებას, რომელიც სვავივით გადაფარვია მთელს ქალაქს/, სადაც დასვენებულნი იყვნენ იანვრის გენოციდის მსხვერპლნი. საძმო საფლავების თავთით თითქმის 200-მდე ადამიანის შავჩარჩოიანი სურათი ჩაემწკრივებინათ, რომელთა შორისაც მუსლუმანებს გარდა იყვნენ ქრისტიანებიცა და იუდევლური აღმსარებლობისანიც და ამიტომ მოლას გვერდით ჰირისუფლობდნენ მღვდელი და რაბინი.



მიკროფონში მთელი პარკის გასაგონად ისმოდა მოლას გაბმული ტირილი და ისეთ საბრალო ჰანგზე მოსთქვამდა იგი, რომ მის ტირილს მთელი პარკი ბანს აძლევდა. არადა იმდენი ხალხი იყო პარკში, ნემსიც ვერსად ჩავარდებოდა. ჩვენი დელეგაცია ამ სივიწროვეში მიიკვლევდა გზას: წინ, მიწამდე დახრილი, შავბაფთიანი ეროვნული სამფეროვანი დროშა და გვირგვინი მიგვიძღოდა, რომელსაც ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე ეწერა: "თავისუფლებისათვის დაღუპულთ – ქართველი ხალხისაგან". ჩვენს დანახვაზე ერთბაშად გადაივლიდა ხოლმე ჩურჩული: "გურჯისტან", "გურჯისტან", მერე ხალხი შუაზე იპობოდა, რათა გავეტარებინეთ და მამაკაცები მადლობის ნიშნად გვიკრავდნენ თავს, ხოლო ქალები კიდევ უფრო უმატებდნენ ტირილს. ჩვენი მსვლელობის მთელ მანძილზე კინოდოკუმენტალისტთა და ტელეოპერატორების კამერების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ ვიყავით. ფეხდაფეხ მოგვყვებოდნენ ჟურნალისტები და ფოტოკორესპონდენტები.



გვირგვინი მივიტანეთ დაღუპულთა დიდ საძმო განსასვენებელთან, მუხლი მოვიყარეთ საფლავებთან და ჩვენებური, ქრისტიანული წესით მივაგეთ პატივი უსამართლოდ დაღუპულთა ხსოვნას. ჩვენი წარმომადგენელი თანაგრძნობის სიტყვითაც აპირებდა გამოსვლას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სასულიერო პირებს ქალაქის კომენდანტისაგან გაფრთხილება ჰქონოდათ მიღებული, სამგლოვიარო პროცედურას მიტინგის სახე არ მიელო და ამიტომ ყოველგვარი სიტყვით გამოსვლა აკრძალული იყო. თუმცა, თვით მოლამ საჯაროდ განუცხადა მთელ შეკრებულობას, რომ მათთან ჭირის გასაზიარებლად ჩამოსული იყვნენ ქართველები, რომლებსაც მსგავსი განსაცდელი ერთი წლის წინ თავის თავზე გადახდენოდათ.

უნდა ითქვას, რომ ერთბაშად მოვექეცით მოვლენათა შუაგულში, ყველა მოვალედ თვლიდა, მოსულიყო და თითოეული ჩვენგანისათვის შემოეჩივლა თავიანთი გასაჭირი, ჩვენებური 9 აპრილის სრული ანალოგია გახლდათ: მოდიოდნენ ადამიანები და გვეუბნებოდნენ, ნახეთ, თქვენი თვალით შეაჯერეთ, თუ რა დაგვმართეს და აუწყეთ მთელ საქართველოს, მოუყევით, გააგებინეთ ... ჩვენ ვუხსნიდით, რომ საქართველოში ყოველივე კარგად იციან, რომ ჩვენმა პრესამ და ტელევიზიამ სრულიად ობიექტურად გააშუქეს აზერბაიჯანის მოვლენები და რომ ჩვენ აქ ამჟამად ერთადერთი მისიით ვართ ჩამოსულნი, რათა მწუხარებაში თანავუგრძნოთ ჩვენს მეზობლებს. ამას მოსდევდა ურიცხვი მადლობები, გულითადი ხელის ჩამორთმევითა და აღმოსავლურად გულზე ხელის მიდებით. ჩვენდა სასიკეთოდ, აღმოვაჩინეთ, რომ რაიმე ანტისომხური მოწოდება არ ისმოდა და ერთგვარი მისწრაფებაცკი იგრძნობოდა კონსოლიდაციისაკენ: – მივბაძოთ ბალტიისპირეთს, რატომ ჩვენ, კავკასიელებს არ შეგვიძლია ასევე გაერთიანება? ეს მათი აზრების გამოხატულება იყო, რასაც, რაღა თქმა უნდა, სიხარულით ვეთანხმებოდით და სწორედ ამ სიტყვების დადასტურებას წარმოადგენდა საქართველოს მონარქისტული პარტიის გაზეთის "ძლევაძე" რედაქტორის, ბატონ მიხეილ მაყაშვილის ინტერვიუც, რომელიც მისცა მან ბაქოელ კინოდოკუმენტალისტებს:

–ბატონებო – ბრძანა მან – მოგეხსენებათ, "დერჟავა" – ზეეროვნული და ზესარწმუნოებრივი ცნებაა. არცთუ შორეულ წარსულში, როდესაც აზერბაიჯანი და საქართველო ირანის გამგებლობის ქვეშ იყვნენ – ეს მუსლუმანური ქვეყანა ერთნაირად მტრობდა, როგორც ქრისტიანულ საქართველოს, ასევე ერთმორწმუნე აზერბაიჯანს. დღეს, როდესაც ჩვენი ორივე რესპუბლიკა ქრისტიანული აღმსარებლობის მქონე ერის იმპერიაში არის გაერთიანებული – ისევ ერთ უღელქვეშ ვართ: თქვენც, მუსლუმანი აზერბაიჯანელები და ჩვენც – – ქრისტიანი ქართველები. რას არ გადაუვლია ჩვენს თავზე – უკვე /და ისევ ერთად/ ვიგემეთ "პერესტროიკის" ნაყოფი ...

დღეს უკვე დროა დავდგეთ ურთიერთობათა ახალ ხარისხობრივ საფეხურზე: ჩვენი საუკუნეობით შეურყვნელი კეთილმეზობლური დამოკიდებულება სამომავლოდ გვავალებს – მხოლოდ ერთად ვიყოთ თავისუფლებისაკენ სავალ გზაზე და ერთად შევუტიოთ წითელ ურჩხულებს!

ასეთივე გახლდათ ჩვენი ახალგაცნობილი აზერბიჯანელი მეგობრების აზრიც და უკან თბილისისაკენ იმ აზრით ფრთაშესხმულნი ვბრუნდებოდით, რომ სულ მოკლე ხანში სავსებით რეალური შეიძლება გახდეს მთელი კავკასიის ისეთივე ერთსულოვანი ამოქმედება, როგორსაც დღეს ჩვენ ბალტიისპირეთში ვხედავთ.

ც.ნაკაშიძე

*

ჩვენი მკითხველისათვის ცნობილია, რომ 1989 წლის დეკემბერში შედგა საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მუხრანის ჯგუფის სხდომა. დღის წესრიგის ერთ-ერთი მთავარი საკითხი იყო ის, რომ მუხრანში დაედო შტაბ-ბინა საქართველოს მონარქისტულ /კონსერვატორულ/ პარტიას.

ამასთან ერთად მუხრანის საზოგადოებრიობამ გადაწყვიტა პარტიისათვის გადაეცა სოფელში არსებული ბაგრატიონ-მუხრანბატონთა ძველი სასახლე.

ეს ცნობა სიხარულით იყო მიღებული და გადაწყდა: საქართველოს მონარქისტული /კონსერვატორული/ პარტია ჩაიბარებდა და აღადგენდა სასახლეს, ოღონდ დროებით, მანამდე, სანამ არ გამოჩნდებოდა სასახლის ნამდვილი და ღირსეული პატრონი, ანუ მანამდე, ვიდრე საქართველოს კანონიერი სამეფო ოჯახი არ ჩაიბარებდა მას.

მაგრამ სასახლე /ანუ ის, რაც სასახლისაგან დარჩა/ იმყოფება სავალალო მდგომარეობაში და საჭიროებს სასწრაფოდ აღდგენითი სამუშაოების დაწყებას, თუმც თავის დროზე გამოიყო თანხა და ვითომ მუშაობაც დაიწყო, მაგრამ ეს ყველაფერი მიმდინარეობდა ისევე, როგორც მრავალი სხვა კეთილი წამოწყება – რაც ასე ნაცნობია ჩვენთვის, „ბედნიერი სოციალისტური საზოგადოების" შვილთათვის: დაპირება,..ცეცხლოვანი სიტყვა,..ქაღალდები,..მილოცვა,..პიონერები,..თვალზეცრემლმომდგარი მოხუცები,..ისევ დაპირება,..ისევ სიტყვა,..ისევ ქაღალდები... მაგრამ ისევ, როგორც ყოველთვის არ გაკეთებულა თითქმის არაფერი.

ამიტომაც, თხოვნით მოგმართავთ თქვენ, ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ო და ქ ა რ თ უ ლ ი მ ი წ ი ს პ ა ტ რ ი ო ტ ე ბ ო თანადგომისათვის – სურვილისა და შეძლებისდა მიხედვით გაიღოთ შემოწირულობანი წმინდა საქმისათვის, რათა შენობას დაუბრუნდეს ის პირვანდელი და ბრწყინვალე სახე, რაც ეკადრება ჩვენს უძველესსა და უბრწყინვალეს სამეფო ოჯახის ს ა ს ა ხ ლ ე ს !

გთხოვთ შემოწირულობანი გადარიცხოთ შემდეგ ანგარიშზე:

№ 000161103 კოოპერატიული ბანკი „დ რ ო"
საქართველოს რესპუბლიკური ბანკი 521006
კოოპერატივისათვის კომპიუტერი-2.

საქართველოს მონარქისტული /კონსერვატორული/
პარტიის რეგენტთა საბჭო

№ 3

# „აჩრდილიც კი აღარ დადის ევროპაში!"

"აჩრდილი დადის ევროპაში – აჩრდილი კომუნიზმისა!" – მუქარაშერეული სიამაყით გააცხადეს ასორმოცდაათი წლის წინ, 1848 წელს "კომუნისტური პარტიის მანიფესტში", ახალი დროის ამ ანტისახარებაში ე.წ. მეცნიერული კომუნიზმის ცრუწინასწარმეტყველებმა – კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა.

გავა დრო და ეს აჩრდილი ცეცხლითა და მახვილით დაიპყრობს მსოფლიოს დიდ ნაწილს და ყველგან, სადაც გაბატონდება, დააყენებს სისხლისა და ცრემლის ზღვას, მოსრავს მილიონობით ადამიანს, ომს გამოუცხადებს რელიგიას, მარადიულ საკაცობრიო ღირებულებებს, იავარჰყოფს კულტურის ძეგლებს, ეკლესიებს, ადამიანებს განძარცვავს ათასწლეულობით გამომუშავებული ზნეობრივი, ეთიკური ნორმებისაგან / სამაგიეროდ "შეაიარაღებს" "კომუნიზმის მშენებლის მორალური კოდექსით"/, დაჰყოფს კლასობრივი კუთვნილების ნიშნით, მამას მოაკვლევინებს შვილს, შვილს დააბეზღებინებს მამას და პოეზიად მონათლავს ამას:

"დავახრჩობ დედას, დავახრჩობ მამას,
რევოლუცია თუ მეტყვის ამას !"...

და ყოველივე ეს გაკეთდება მაღალი იდეალების, ნათელი მომავლის სახელით!..

და ყველგან, სადაც "გაიმარჯვებენ" კომუნისტები – ევროპასა თუ აზიაში, აფრიკასა თუ სამხრეთ ამერიკაში – დაამყარებენ პირსისხლიან დიქტატორულ, ტირანულ ტოტალიტარულ რეჟიმებს, შექმნიან ტერორის, შიშის, უნდობლობის ატმოსფეროს... ადამის შვილებს აქცევენ ჭანჭიკებად, რობოტებად, საზარბაზნე ხორცად...

გამოიყვანენ ადამიანის ახალ ჯიშსაც კი –ჰომო სოვეტიკუს...

და"ბრძენი მესაჭეების", "გენიალური ხელმძღვანელობით", "უმაგალითო შრომითი ენთუზიაზმისა და პოლიტიკური აქტიობის ვითარებაში" ათეულობით წლების განმავლობაში "ყველაზე მოწინავე", "შეგნებული", "ბედნიერი მშრომელები" დაბაბულად /ანუ მონურად/ იშრომებენ "სოციალისტური სამშობლოს" /კომუნისტები ხომ მხოლოდ ამგვარ სამშობლოს სცნობენ! /საკეთილდღეოდ, "საამური ცხოვრების" შესაქმნელად...

და მართლაც შექმნიან ამგვარ ცხოვრებას!..

შექმნიან ყველა "ექსპლოატატორულ კლასზე" უფრო ექსპლოატატორული, პარაზიტული, ახალი კლასისათვის – პარტოკრატიისთვის, რომელიც უტიფრად მიითვისებს, მიიტაცებს ყველა ამქვეყნიურ მატერიალურ სიკეთეს და ეს "ხალხის პარტია" ყრუ, მაგარი და მაღალი კედლით გამოეყოფა ხალხს, მის ინტერესებს, გასაჭირს, სატკივარს...

და კომუნისტები დაამახინჯებენ არა მარტო ადამიანთა, ხალხთა ბედს, ცხოვრებას, უკუღმა დაატრიალებენ არა მარტო ისტორიის ჩარხს:

შესცვლიან, დაამახინჯებენ, გააუკუღმართებენ ყველაზე წმინდა ცნებებს:
"სამშობლოს" აქცევენ "სოციალისტურ სამშობლოდ",
"ღმერთს" – "ბელადად",
"მოყვასის სიყვარულს"–"პროლეტარულ სოლიდარობად",
"ჰუმანიზმს" – "სოციალისტურ ჰუმანიზმად"
და ა.შ. და ა.შ.

მაგრამ დასასრული აქვს ყოველგვარ ბოროტებას.

და დაიწყო ის, რაც ბოლოსდაბოლოს უნდა დაწყებულიყო.

დაიწყო ყველა ბოროტებას შორის უდიდესი ბოროტების – კომუნიზმის დასასრული.

მთავრდება ისტორიის ბოროტი ხუმრობა.

დაშლა იწყო "მძლავრმა სოციალისტურმა ბანაკმა".

სამარცხვინოდ ლაფავს სულს "ყველაზე პროგრესული, ჯანსაღი იდეოლოგია"– კომუნისტური იდეოლოგია.

ჯერ პოლონეთმა აქცია ზურგი ამ იდეოლოგიასა და "ახალ ცხოვრებას". შემდეგ უნგრეთმა... ჩეხოსლოვაკიამ, აღმოსავლეთ გერმანიამ... რუმინეთმა /სადაც კომუნისტებმა კიდევ ერთხელ, ეს უკვე მერამდენედ გამოაჩინეს თავისი სისხლიანი, მხეცური ბუნება/...

კომპარტიები სასწრაფოდ იცვლიან სახესა და სახელს – "ნებაყოფლობით "ამბობენ უარს განუსაზღვრელ, ერთპიროვნულ ძალაუფლებაზე... თავქუდმოგლეჯილი გამორბის ხალხი "ხალხის პარტიებიდან"... ულმერთოდ დაწყებული "საქმე", ექსპერიმენტი ულმერთოდ მთავრდება!.. და მალე, როცა სსრკ-სა და ალბანეთში, სატანისეულ ამ ორ უკანასკნელ ბასტიონზეც აფრიალდება თეთრი ბაირაღები,– თავისუფლად ამოვისუნთქავთ და ვიტყვით:

"აჩრდილი აღარ არის ევროპაში!"...

ზურაბაბელი

# უიზოური მიმოხილვა

## სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს

როგორც ცნობილია შარშან საფრანგეთში ზარ-ზეიმით აღინიშნა ეგრეთ წოდებული დიდი (საბჭოთა ტერმინოლოგიით–ბურჟუაზიული) რევოლუციის 200 წლისთავი. ფრანგების საქმეა, რას იზეიმებენ, მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ ეგზომ სისხლიანი, სასტიკი მოვლენის დღესასწაულობა ნაკლებად შეეფერაბა მათნაირ კულტუროსან ერს. თუმცა ნათქვამია, ზოგი ჭირი მარგებელიაო – ამ თარიღთან დაკავშირებულ ღონისძიებებში ერთი ღირსშესანიშნავი ამბავიც გამოერია: საფრანგეთის ტელევიზიამ ლუი XVI-ისა და მისი მეუღლის მარია-ანტუანეტას სასამართლო პროცესის ინსცენირება მოაწყო და ტელემაყურებლებმა, რომლებიც ნაფიც მსაჯულთა როლს ასრულებდნენ, გაამართლეს ორი საუკუნის წინათ სიკვდილით დასჯილი მეფე-დედოფალი. კაცმა რომ თქვას, მოულოდნელი ამაში არაფერი ყოფილა, ვინაიდან უკვე გაზეთ "ფიგაროს" მიერ შარშანწინ მოწყობილმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ ფრანგები განუზომლად მეტი სიმპატიით ეკიდებიან მარია-ანტუანეტასა და ლუი XVI-ეს, ვიდრე დანტონს ან რობესპიერს. ასეთი დამოკიდებულება გასაკვირი არ არის, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რაც დრო გადის, ხალხის კულტურული დონის ამაღლებისა და ჰუმანისტური იდეალების დამკვიდრების კვალობაზე რევოლუხიის ხანის მოქმედ პირთა შეფასებაში სულ უფრო იმარჯვებს სალი აზრი – გამოკითხვების თანახმად სისხლიანი მანიაკები რობესპიერი და მარატი, რომელთა სინდისზეც ასიათასობით ადამიანის, სხვათა შორის, როგორც საკითხის შესწავლამ ნათელყო, მეტწილად გლეხობისა და მუშების, სიცოცხლეა, პოპულარობით, როგორც წესი, ბოლო ადგილებს ინაწილებენ ხოლო პირველს მარკიზი დე ლაფაიეტი, კონსტიტუციური მონარქიის მომხრე ჭეშმარიტი დემოკრატი იკავებს (საგულისხმოა, რომ პარიზში რობესპიერის სახელობის ვერც ქუჩას, ვერც მოედანს, ვერც დაწესებულებას თუ სხვა რამეს ვერ ნახავს კაცი, მის სახელს მარტო მეტროპოლიტენის ერთი მიყრუებული, საგარეუბნო სადგური ატარებს). ასეთ ფონზე თანდათან იფანტება ისტორიის გამყალბებელთა მიერ დაყენებული მტვრის ბული და ჯეროვნად ფასდება ბარბაროსულად მოკვდინებული მეფის სულგრძელობა, კეთილშობილება და პატრიოტიზმი–რაოდენ მრავლისმეტყველია, მაგალითად, თუნდაც ის ფაქტი, რომ, როცა რევოლუციურმა კონვენტმა 1791 წელს სამეფო სამლოცველოს და ტაძრების სამკაულების გაყიდვა გამოაცხადა, ციხეში მყოფმა, სასიკვდილოდ განწირულმა ლუი XVI-ემ ძვირფასი რელიკვიების ეროვნული ბიბლიოთეკისათვის გადაცემა მოითხოვა, რაც შესრულდა კიდეც, იმდენად დიდი იყო მეფის ავტორიტეტი და სამართლიანი მისი მოთხოვნა. მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ფრანგები, თუმც კი ნაგვიანევად, მაგრამ მაინც ინანიებენ თავიანთი წინაპრების ორასი წლის წინანდელ ცოდვას, და, ალბათ, ამითაც აიხსნება, რომ ქვეყანაში თვალდათვალ იკრებს ძალას მონარქისტული მოძრაობა-სადღეისოდ იგი ასიათასობით აქტიურ წევრს და მილიონობით (ბოლო მონაცემებით ქვეყნის მოსახლეობის მეოთხედს) თანამგრძნობელს ითვლის, რაშიც ჩვენც შევვეძლო დავრწმუნებულიყავით, როცა საბჭოთა ტელევიზიამ გადმოსცა ტელერეპორტაჟი როიალისტთა საპროტესტო, რევოლუციის წლისთავის ზეიმობის საწინააღმდეგო მასობრივი მანიფესტაციის შესახებ, რომლის მონაწილენი ამაყად მოაფრიალებდნენ ძველ, შროშანიან სამეფო დროშებს. ამიტომაც იყო, რომ 1987 წელს მთელმა კულტურულმა, პატრიოტულმა საფრანგეთმა ფართოდ აღნიშნა მართლაცდა სადღესასწაულო იუბილე,–კაპეტინგების დინასტიის გამეფების ათასი წლისთავი.

მკითხველს, ალბათ, მოეხსენება, რომ ბურბონები, ისევე როგორც მათი წინამორბედი ვალუები, კაპეტინგების საგვარეულოს ერთ-ერთ განშტოებას წარმოადგენენ-ფეოდალურ საფრანგეთში მიღებული წესით წარჩინებული გვარის განშტოება იმ მხარის სახელწოდებით იხსენიებოდა, რომელსაც ფლობდა – და რევოლუციის დროსაც, სასამართლოზე, ვითომდა ფეოდალური ადათწესების გასაბათილებლად, ლუი XVI-ის ლუი კაპეტს უწოდებდნენ, ვითარცა დინასტიის მამამთავრის ჰუგო კაპეტის ჩამომავალს. მერედა, იკითხავს სათანადო ინფორმაციას მოკლებული მკითხველი, დარჩნენ კია საფრანგეთში ბურბონები? საბედნიეროდ, დარჩნენ კიდეც და მომავალსაც იმედიანად უყურებენ – სწორედ იმავე 1987 წლის სექტემბრის მიწურულს, საფრანგეთის ტახტის მემკვიდრემ 80 წლის ანრი V-ემ (ფრანგულივე ტრადიციით, მეფობის კანდიდატიც კი, თუ უკანონოდ არის ჩამოცილებული ხელისუფლებას, განაგრძობს მეფეთა სათვალავს – ამიტომ იყო, რომ ნაპოლეონის დამარცხების შემდეგ ტახტზე ასული ლუი XVI-ის ძმა ლუი XVIII-ედ იწოდა, რაკი ლუი XVII-ედ მისი ძმისწული, რევოლუციონერთაგან მუხანათურად მოკლული ყრმა უფლისწული ითვლებოდა; რომელსაც არ უმეფია), გრაფმა პარიზელმა, ჰერცოგმა ორლეანელმა, ტახტის მემკვიდრეობის უფლება საჯაროდ, ჟანა დ' არკის ძეგლის წინ შეკრებილი საზოგადოებრიობის თანდასწრებით, გადასცა თავის შვილიშვილს, 22 წლის ჟანს (III-ეს), რომელიც ვანდომის ჰერცოგად იწოდა (მის უფროს ძმას ეს უფლება პაპამ ჩამოართვა იმის გამო, რომ ცოლს გაეყარა და ხელმეორედ დაქორწინდა, რაც გაუგონარი შემთხვევა ბურბონთა საგვარეულოს ისტორიაში). ასე რომ, როგორც ვხედავთ, ბურბონები იხტიბარს არ იტეხენ, და არცთუ უსაფუძვლოდ – როცა იქნება ფრანგი ხალხი გამოასწორებს თავის შეცდომას; პირსლვთისაკენიზამს და აღადგენს ისტორიულ სამართლიანობას.

ა.ასათიანი

---

საქართველოს მონარქისტული / კონსერვატორული / პარტია მადლობას უცხადებს თ ე ა ტ რ ა ლ უ რ ი  ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს თბილისის საწარმოო კ ო მ ბ ი ნ ა ტ ი ს კოლექტივს თანადგომისა და დახმარებისათვის.

დირექტორი – ბ. ჟვანია
მთავარი მექანიკოსი – გ. მელაძე

---

საქართველოს მონარქისტული/კონსერვატორული/ პარტია იზიარებს ბატონ კახა მანთაშევის მწუხარებას დედის

ქალბატონ  ნ ი ნ ო ს

გარდაცვალების გამო.

---

საქართველოს მონარქისტული /კონსერვატორული/ პარტიის ყველა გამოცემა იბეჭდება საწევროებისა და შემოწირულობათა ხარჯზე.

რედაქცია სათანამშრომლოდ იწვევს ყველას, ვინც იზიარებს მონარქისტულ პოზიციებს.

ყველა დაინტერესებულ პირს, ვისაც აინტერესებს საქართველოს მონარქისტულ /კონსერვატორული/ პარტიის საქმიანობა და აგრეთვე ვისაც სურს თანამშრომლობა სარედაქციო კოლეგიასთან, პარტიის რეგენტთა საბჭო თხოვს დაგვირეკოს შემდეგი ნომრებით: 93-15-84
93-75-14
93-70-49

---


რ ე დ ა ქ ტ ო რ ი: მ.მაყაშვილი

ს ა რ ე დ ა ქ ც ი ო  კ ო ლ ე გ ი ა:

ა.ასათიანი
ზ.ასკანელი
მ.კუხალეიშვილი
თ.ჟორჟოლიანი
გ.ხონელიძე